ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ხუთშაბათი, 30 სექტემბერი, 2021 №183 (8712) ფასი: 60 თეთრი

გიგა ბოკერია: „ქართული ოცნების“ კვლევები მათთვისაც არ არის სანდო“

გვ.2

„სალომე ზურაბიშვილი სააკაშვილის შეწყალების საკითხს განიხილავს“

ლადო სადღობელაშვილი: „დღეს „ოცნება“ ისეა დასუსტებული, როგორც არასდროს“

გვ.2

გვ.4

„სააკაშვილი არალეგალურად თუ შემოვა, მომაკვდინებელი დარტყმა იქნება ხელისუფლებისთვის“

ვახტანგ ძაბირაძე: „სააკაშვილის ჩამოსვლა მობილიზებას გაუკეთებს „ოცნების“ იმ ამომრჩეველს, რომელიც აღარ აპირებდა არჩევნებზე წასვლას. გახარიას კი ნამდვილად არ აწყობს სააკაშვილის ეს განცხადება“

ოცნება 43%-ს ვერ აიღებს, გახარიას პარტიისგან 8-10%-ს ველოდები

ნიკა ჩიტაძე: „საქართველომ გამოიარა ეს პერიოდი, როდესაც ერთ მხარეს გამსახურდიას მომხრეები იდგნენ და მეორე მხარეს მოწინააღმდეგეები. შესაძლებელია ასეთი სახის დაპირისპირება ახლაც იყოს“

გვ.3

„სააკაშვილის შეწყალებას ამერიკა მხარს არ დაუჭერს“

გვ.3

მირიან მირიანაშვილი: „ოცნებაც“, ნაცმოძრაობაც და გახარიაც ერთი ცენტრიდან იმართება. საქართველოში ორპოლუსიანობასაც და სამპოლუსიანობასაც ივანიშვილი მართავს“

გვ.4

„არჩევნები 2 ოქტომბრამდე უკვე ყალბდება“

მამუკა ტუსკაძე: „ოქტომბერი საშინელი იქნება, ნაციონალები მეორე ტურში მონაწილეობას არ მიიღებენ და აქციებს მოაწყობენ“

„დამეშუქრა, რომ 2 კვირის ჩვილს მომიკლავდა“

გვ.5

რას ყვება ბრუკის მკვლელობაში ბრალდებულის რძალი



ISSN 1987-9385

5 თამარ კეკენაძეს „სტრატეგია აღმაშენებლის“ კოორდინატორმა მობილური მოპარა

2 ანა დოლიძე: „სააკაშვილის განცხადებები ეხმარება „ქართულ ოცნებას“ ხმების მობილიზებაში“

5 „ცოლს ტელეფონი არ დავუბრუნე და ამაზე მიჩივლა“ გიორგი გურგულიას და ლარისა გიგაურის სასამართლო შეჩერებულია

6 სომხეთში თავდაცვის ყოფილი მინისტრი დავით ტონოიანი დააკავეს

„სალომე ზურაბიშვილი სააკაშვილის შეწყალების საკითხს განიხილავს“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ლადო სადღობელაშვილი პასუხობს.

– ლადო, არჩევნებამდე ორიოდე დღე დარჩა, მთავარ ინტრიგად რჩება სააკაშვილის ჩამოსვლა-არჩამოსვლის საკითხი. ბევრი ფიქრობს, რომ ეს ყველაფერი შეთანხმებულია „ოცნებასთან“ და მისი ამომრჩევლის მობილიზებას უწყობს ხელს. რას ფიქრობ ამ ყველაფერთან დაკავშირებით?

– ზოგადად სააკაშვილის ფაქტორი ხელს უწყობს პოლარიზებას. იმიტომაც არის, რომ იგივე მესამე ძალად წოდებული ვაშაძე, გახარია, ღელო, ყველა ჩაიკარგა ამ ორთაბრძოლის ფონზე. ამ პოლარიზების დროს, შუას გაკრეფა მიმდინარეობს.

– ანუ კარგად ასრულებს ივანიშვილი დანაპირებს? შუა ბოლომდე გაკრეფილია?

– შუა არის პრაქტიკულად გაკრეფილი. ბილეთის გასაჯაროებით, რომელიც შესაძლოა ყალბიც იყო, იგივე სოციალურ ქსელებში აქტიურობა, რომ ხვალ მოდის თურქეთიდანო და ასე შემდეგ. აქ ერთი რამ ცხადია, დღეს, როგორც არასდროს, ნაციონალური მოძრაობის ფლანგს სჭირდება სააკაშვილი.

– „ოცნებასაც“ ჰაერივით სჭირდებაო, ლადო.

– მაგის თქმას ვაპირებდი და არ მიმიყვანე მანდამდე. რა თქმა უნდა, ასევე „ოცნებასაც“ სჭირდება სააკაშვილის გამოჩენა, იმიტომ, რომ სააკაშვილი ასოცირდება იმ წარსულ ბოროტებასთან, რომელიც სუფევდა საქართველოში წლების განმავლობაში.

თუკი მიშა ჩამოვიდა, იქნება საუბარი იმაზე, რომ მიშა დაიჭირონ და ციხეში გაამწესონ. მე მაქვს ინფორმაცია, რომ სალომე ზურაბიშვილი განიხილავს სააკაშვილის შეწყალებას. აქ საუბარია შემდეგზე, თუ სააკაშვილი ჩამოვიდა, საათებში, მაქსიმუმ ერთ დღეში უნდა მოხდეს მიშას შეწყალება და მისი დეპორტაცია საზღვარგარეთ.

– „ოცნება“ აცხადებს, რომ დასავლეთი არ შეგვიშლის ხელს სააკაშვილის დაპატიმრებაში, ვიმოქმედებთ კანონის ფარგლებშიო. ასეა?

– რა თქმა უნდა, ვერ შეუშლის ხელს ვერავინ და თუ შეუშალეს ხელი, პირდაპირ გეტყვით, რომ ეს იქნება სახელმწიფოს ჩამონგრევა. ვინც კანონის უზენაესობას შეეწინააღმდეგება თუნდაც ამ ფორმით, ის იქნება მტერი საქართველოსი. არ აქვს მნიშვნელობა, ეს იქნება უკრაინა, ამერიკა, რუსეთი თუ რომელიმე ევროპული ქვეყანა. დარწმუნებული ვარ, მსგავს ფაქტს ადგილი არ ექნება, თუ სააკაშვილი ჩამოვა.

– დიდი ალბათობით ჩამოვა, რადგან ეს გარიგების ნაწილიაო.

– სულ მთლად გარიგებაც არ არის, რადგან სააკაშვილი ნაციონალებსაც ჰაერივით სჭირდებათ, რადგან ნაცები პოზიციებს სერიოზულად კარგავენ. თქვენ ნუ გგონიათ, რომ გახარია მარტო „ოცნებას“ წაართმევს ხმებს. გახარია ნაციონალურ მოძრაობასაც ართმევს ხმებს.

– სწორედ ამას ვგულისხმობდი, ნაციონალებსაც და „ოცნებასაც“ თანაბრად სჭირდებათ მიშა. ერთი მთავარ ოპოზიციად დარჩება, მეორე კი დარჩება ისევ ხელისუფლებაში.

– კი ბატონო, ეს არის ორივეს მთავარი ამომავალი წერტილი. ახლა ამას როგორ გააკეთებენ, ერთ დღეში მოაგვარებენ, ორ დღეში, მიშა ჩამოვა – არ ჩამოვა, ეს უკვე სხვა ამბავია. მთელი ამომავალი წერტილი არის ის, რომ მოხდეს მაქსიმალური პოლარიზება საზოგადოების, იყოს მიშისტები და ანტიმიშისტები. დღეს თუ „ქართულ ოცნებას“ გაჭირვებით აქვს 40%, ეს იმის ბრალია, რომ „ქართული ოცნება“ გადავიდა იმ რელსებიდან, რომელსაც 2012 წლის რელსები ერქვა და დღეს „ოცნება“ არის ჰიბრიდული წარმონაქმნი, რომელიც ვერ ჩამოყალიბებულა, რა უნდა.

– მეგის ქარდავას ყოფილი მოადგილე ბათუმში მერობის კანდიდატად წარადგინეს.

– სწორედ მაგას გეუბნებით, ჰიბრიდული წარმონაქმნია. უკვე ძალიან დიდი ცდომილებები აქვთ ყველა

ლადო სადღობელაშვილი: „დღეს „ოცნება“ ისეა დასუსტებული, როგორც არასდროს“

ვექტორზე. გადავხედოთ „ქართული ოცნების“ რიგებს და სავსეა ნაცმოძრაობის წევრებით. ყველა ოდიოზური ფიგურის მოადგილე და თანაშემწე „ოცნების“ რიგებშია.

– ძალიან ცუდ სიტუაციაშია დღეს „ოცნებაო“.

– კი, ასეა. ერთი მხრივ ისეთ ნაბიჯებს დგამს, თითქოს რუსეთისკენ მიდის, ხან აქვს მცდელობა ამერიკისკენ აიღოს გეზი, მესამე ნატოს გაიმახის და მეოთხე კიდევ რას. სრულიად ჩამოუყალიბებელი გუნდია. ეს ყველაფერი იცით რისი ბრალია?!

– რისი?

– იმის, რომ 9 წლის განმავლობაში მგონი, სულ მცირე, 5 პრემიერი გვყავდა, ყოველ წელიწადნახევარში რომ პრემიერები იცვლებიან, იცვლებიან მინისტრები, ძალოვნები, ეს ნორმალურია?! მიშას დროს იყო ვერტიკალი გაკეთებული, რომელიც მართავდა სტრუქტურას, სახელმწიფოს. ახლა რაც ხდება, ეს ჩემთვის სრულიად გაუგებარია. უკვე აღარ ვიცი, საით მიდის „ქართული ოცნება“. ერთადერთი ხაზგამყოფი რაც არის, ეს არის მიშისტები და ანტიმიშისტები.

– და დღესაც ამისთვის მიდის ბრძოლა, რომ ეს სიტუაცია შეინარჩუნონ?

– ზუსტად აქეთკენ მიდის, რომ მაქსიმალური პოლარიზაცია მოხდეს.

– მაშინ მაღალია იმის შანსი, რომ მიშა ჩამოვიდეს?

– თუ სააკაშვილს რაიმე ნატამალი გააჩნია ადამიანობის, კაცობის, პოლიტიკური ამბიციის საქართველოში, ამ ყველაფრის შემდეგ, მან ეს ნაბიჯი უნდა გადადგას და უნდა ჩამოვიდეს! შემდეგ რა მოხდება, მას აუცილებლად დაიჭერენ, იქნება ვნებათაღელვა და მაქსიმუმ 2-3 დღეში მას დეპორტაციას გაუკეთებენ უკრაინაში. აი, ეს იქნება ამ ყველაფრის თავი და ბოლო.

– და კრება დარჩება მხიარული?

– რა თქმა უნდა. გამოვლენ მერე „ოცნების“ ლიდერები და იტყვიან, რომ აი, ჩვენ მიშა დავიჭირეთ და გავაძევეთ ქვეყნიდან. ზუსტად ვიცი, რომ პრეზიდენტის ადმინისტრაციაში განიხილება მისი შეწყალება. მე არ ვამბობ, რომ ეს გადაწყვეტილია, ვამბობ, რომ განიხილება.

– ცოტა განსხვავებული განცხადებების კეთება დაიწყო სალომე ზურაბიშვილმა. ახლა კოალიციური მთავრობაა მისთვის მისაღები, ეს რას ნიშნავს?

– აი, ესეც ვაჭრობის საგანია. მე ბევრჯერ მითქვამს, რომ ქალბატონი სალომე ზურაბიშვილი არა საქართველოს პრეზიდენტი, არამედ უცხო ქვეყნის სპეცსამსახურების მიერ დასმული მმართველია. ეს ქალბატონი ავრცელებს ზუსტად იმ მესიჯებს, რომლებსაც ავრცელებს ევროპა საქართველოსთან მიმართებაში. კოალიციური მთავრობა გულისხმობს მინიმუმ ორ პარტიას. ისმის ლოგიკური და ლეგიტიმური კითხვა, ვინ არის ეს ორი პარტია?! ვისკენ მიანიშნებს ქალბატონი სალომე და ვისკენ გვიბიძგებს დასავლეთი, აი ეს არის საფიქრალი.

– ვინ შეიძლება იყოს ეს? გახარია მოიაზრება ამ სიტუაციაში?

– არა. გახარია რომ იყოს ეს ძალა, მაშინ ბიძინა ივანიშვილით დაწყებული და ღარიბაშვილი-კობახიძით დამთავრებული, ყველამ ბოდიშები უნდა უხადოს გახარიას. ეს ნონსენსია, ასეთი რამ არ მოხდება. ასეთი ძალა ალბათ ფორსირებულ რეჟიმში უნდა გამოჩნდეს. ის უნდა იყოს ანტინაციონალური და ზომიერად რადიკალური. ასეთი ძალა დიდი ალბათობით რიგგარეშე არჩევნებისთვის შეიქმნება.

– იქნება რიგგარეშე არჩევნები?

– 100%-იანი გარანტიით ვამბობ, რომ რიგგარეშე არჩევნები იქნება! ეს იქნება 2022 წლის გაზაფხულზე და აუცილებლად იქნება კოალიციური მთავრობა. თუ ამჯერადაც ასე არ მოხდა, მაშინ საბოლოოდ დავდგებით რუსეთის გზაზე.

– რით დასრულდება ეს არჩევნები, რა შედეგს ელოდებით?

– დღესდღეობით „ქართული ოცნება“ ისეთი შესუსტებულია, როგორც არასდროს. მართალია, „ოცნების“ ჩატარებული კვლევებით კალაძე პირველივე ტურში იმარჯვებს და მათ პარტიას 49% აქვს, მაგრამ მე ეს ფანტასტიკის სფეროდ მიმაჩნია. ჩემი ინფორმაციით, კალაძის რეიტინგი არ აღემატება 45%-ს, ხოლო „ქართული ოცნების“ რეიტინგი 40%-ს. თუმცა არ ვიცი, რას და როგორ დაიწერენ.

ახლა ერთსაც გეტყვით, ირაკლი კობახიძის გუნდი აღარ იქნება „ოცნების“ საპარლამენტო სიაში. კობახიძემ ისეთი რაღაცები აკეთა წინასაარჩევნოდ, თუნდაც გახარიასთან მიმართებაში, რომ რა გითხრათ. ბოქსში არის აკრძალული ილეთი, წელს ქვემოთ დარტყმა არ შეიძლება, კობახიძემ კი სწორედ ეს აკრძალული ილეთი გამოიყენა და წელს ქვემოთ დაარტყა გახარიას. პოლიტიკურადაც და ზოგადადაც ეს არ იყო ეთიკური. ეს სიბინძურე არ არის პოლიტიკოსის საქმე და იმაზე ჭორაობა, გახარია ნარკომანია, გეია თუ სხვა რამ.

– თურმე აპირებდნენ ამ ჭორის გავრცელებასაც, რომ გახარია ჰომოსექსუალიაო.

– კი ბატონო, მაქვს ინფორმაცია, რომ ამას ნამდვილად აპირებდნენ.

გიგა ბოკერია: „ქართული ოცნების“ კვლევები მათთვისაც არ არის სანდო“

– ეს ყველაფერი იმიტომ სჭირდებათ, რომ საპროტესტო ამომრჩევლის დემორალიზება მოახდინონ, დანერგონ უიმედობა, რომ არ მოვიდეს ამომრჩეველი არჩევნებზე.

ასე ეხმაურება „ევროპული საქართველოს“ თავმჯდომარე გიგა ბოკერია „ქართული ოცნების“ მიერ გამოქვეყნებული წინასაარჩევნო კვლევის შედეგებს.

„ქართული ოცნების“ კვლევის შედეგებით, თბილისის საკრებულოს არჩევნებში „ოცნებას“ გამოკითხულთა 51,4% მისცემს ხმას, „ნაცმოძრაობას“ – 25,9%, პარტია „საქართველოსთვის“ – 5,6%.

ბოკერიას თქმით, „ქართულ ოცნებას“ ეშინია ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შედეგების.

– მათთვისაც არ არის სანდო, არა თუ მხოლოდ ჩემთვის. მათი მთელი რიტორიკა იმაზე, რომ არჩევნები არ დაინიშნება, სულ რომ 2% ავიღოთო და რის გამოც საკუთარ შეთანხმების ვალდებულებაზე უარი თქვეს, ადასტურებს იმას, რომ ეს ასე არ არის, ეშინიათ ამ არჩევნების შედეგების. ეგ რომ ეგრე არ იყოს, რა საჭირო იქნებოდა მთელი ეს კამპანია. ეს კამპანია, მთელი მათი უტიფარი ნიაღვარის, რომ 1%-ზეც ფეხზე გვკიდია, გავედით ხელშეკრულებიდან იმიტომ, რომ იქ ვიღაცამ ხელი არ მოაწერა, ეგეც სისულელეა, ხელშეკრულება იმათ შორის არსებობს, ვინც ხელს აწერს, ვინც ხელი არ მოაწერა, იმას ვერ დააბრალებ ხელშეკრულების დარღვევას. მათ ეს ყველაფერი იმიტომ სჭირდებათ, რომ საპროტესტო ამომრჩევლის დემორალიზება მოახდინონ, დანერგონ უიმედობა, რომ არ მოვიდეს ამომრჩეველი არჩევნებზე.

მათი კვლევა რეალური რომ იყოს, იტყოდნენ, რომ ასრულებენ მოვალეობას და არჩევნებს წელში გამართულები მოიგებდნენ, – განაცხადა ბოკერიამ.

ანა დოლიძე: „სააკაშვილის განცხადებები ეხმარება „ქართულ ოცნებას“ ხმების მობილიზებაში“

– ერთადერთი, ვისაც აძლიერებს სააკაშვილის განცხადებები, არის „ქართული ოცნება“, რომელიც საკუთარი ამომრჩევლების დაშინებით ცდილობს ხმების მობილიზებას.

ასე შეაფასა პარტიის „ანა დოლიძე-ხალხისთვის“ ლიდერმა, თბილისის მერობის კანდიდატმა ანა დოლიძემ მესამე პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის მორიგი განცხადება საქართველოში დაბრუნებასთან დაკავშირებით.

დოლიძის თქმით, სააკაშვილის საქართველოში ჩამოსვლას შესაბამისი სამართლებრივი შეფასება უნდა მოჰყვეს.

– როგორც ჩანს, ჩვენ უნდა ვისწავლოთ და შევეგუოთ მიხეილ სააკაშვილის განცხადებებთან თანაცხოვრებას, რომელსაც ალბათ მომავალშიც მოვისმენთ. არ მგონია, ამ შემთხვევაშიც რამე ახალი იყოს, გარდა იმისა, რომ ის ამხნევებს თავის ამომრჩევლებს. თუმცა, რა თქმა უნდა, სააკაშვილის ნებისმიერი გამოჩენა წინასაარჩევნოდ, ეხმარება „ქართულ ოცნებას“. ეს მიზანმიმართულად ხდება თუ შემთხვევით, სხვა საკითხია. ფაქტია, ერთადერთი, ვისაც აძლიერებს სააკაშვილის განცხადებები, არის მმართველი გუნდი, რომელიც საკუთარი ამომრჩევლების დაშინებით ცდილობს ხმების მობილიზებას.

ამ ფაქტზე სამართლებრივი შეფასება უნდა გაკეთდეს მას შემდეგ, როდესაც სააკაშვილს რეალურად დავინახავთ თბილისის აეროპორტში. სხვა შემთხვევაში ეს ადამიანი რჩება თავის პარტიაში, სურს აქტიურობა პოლიტიკაში და ეს მისი გადასაწყვეტია. იმის მაგივრად, რომ საარჩევნო კამპანიის დროს ვსაუბრობდეთ პროგრამებზე და ვხვდებოდეთ მოსახლეობას, დროს ვკარგავთ სააკაშვილის ჩამოსვლა-არჩამოსვლაზე, – განაცხადა ანა დოლიძემ.

„სუსის მასალების გავრცელება მიზნად ეკლესიის დისკრედიტაციას ისახავს“

საპატრიარქოს განცხადება

საქართველოს საპატრიარქო სკანდალური ფაილების გასაჯაროებასთან დაკავშირებით განცხადებას ავრცელებს.

საპატრიარქო მედიას, ვინც სუსის სკანდალური ფაილები გაასაჯაროვა, ბრალს ორმაგ სტანდარტში დებს და აცხადებს, რომ ე.წ. სუსის დანოსებში მოყვანილი ფაქტების დადასტურების შემთხვევაში რეაგირება ექნებათ.

„გაურკვეველი წარმომავლობის გამოქვეყნებულ ფაილებში ტყუილ-მართლის გარჩევა შეუძლებელია; ერთი კი ცხადია: ამ მასალამ ეკლესიისადმი მტრულად განწყობილ ძალებს მისცა ცილისწამების, პატივის, ღირსებისა და რეპუტაციის შემლახველი ჭორების გავრცელების საშუალება, რაშიც სხვებთან ერთად აქტიურად არიან ჩართულნი თავისი სკანდალური ქმედებებით ცნობილი რამდენიმე სასულიერო პირი, ე.წ. თეოლოგები, საინფორმაციო საშუალებები და ზოგიერთი ტელევიზია.

ამასთან, იკვეთება აღნიშნული ტელევიზიებისა და, ზოგადად, მასმედიის ორმაგი სტანდარტიც: საზოგადოებას კარგად ახსოვს, როგორი მკვეთრად უარყოფითი რეაგირება ჰქონდათ მათ (ისევე, როგორც ყველას) არც თუ ისე დიდი ხნის წინ მასმედიის წარმომადგენლებზე და სხვა პირებთან დაკავშირებული პირადი ცხოვრების ამსახველი კადრების ეთერში გაშვებაზე. ახლა კი თვითონ არიან დანაშაულის ხელშემწყობნი, – ცილისწამების მთავარი და ყველაზე ფართომასშტაბიანი გამავრცელებელნი, მათ შორის, შერჩევითობის პრინციპით.

მაგ., ადრინდელ მნიშვნელოვან მოვლენებზე რომ არაფერი ვთქვათ, მათ ეთერში არაფერი გაჟღერებულა თუნდაც იმ საუბრების შესახებ, სადაც მღვდელმთავრების დაპატიმრებასა და საპატრიარქოს შტურმით აღებაზეა საუბარი; ეს ხომ მეტად საგულისხმო ინფორმაციაა?!

ცნობილია, საეკლესიო სასჯელის დადება უნდა ემყარებოდეს უტყუარ მტკიცებულებებს; ამიტომაც აღნიშნული ფაილები, მათთან დაკავშირებული სერიოზული პრობლემების გამო, გადაწყვეტილების მისაღებად გამოუყენებელია.

თუ კონკრეტული სასულიერო პირის შეუფერებელი ქმედების შესახებ რეალური მტკიცებულებების მოპოვება მოხდება, კომისიის მხრიდან საკითხის შესწავლისა და ფაქტების დადასტურების შემთხვევაში, აუცილებლად იქნება შესაბამისი რეაგირება.

გვინდა, ასევე, განვაცხადოთ: იმ შემთხვევაში, თუ ნამდვილად ხდებოდა მღვდელმსახურთა უკანონო თვალთვალი და მოსმენები, ეს არის ყოვლად მიუღებელი, რადგან ასეთი ქმედება, უპირველეს ყოვლისა, საფრთხეს უქმნის სასულიერო პირებისა და მრევლის კომუნიკაციას და არღვევს ქრისტიანულ სწავლებაში აღსარების გაუთქმელობის უმთავრეს და ხელშეუხებელ პრინციპს, დაცულს როგორც საქართველოს, ასევე, საერთაშორისო კანონმდებლობით.

ეკლესია, თავისთავად, ყოველთვის იცავდა და დაიცავს აღსარების საიდუმლოს და არავის მისცემს უფლებას, აღსარების გაუთქმელობა აღმოჩნდეს საფრთხის წინაშე. პირველ რიგში, სწორედ ამის გამო ჩვენთვის უმნიშვნელოვანესია სახელმწიფოს მხრიდან სრულყოფილი გამოძიების დროულად დასრულება.

ბრალის დადასტურების შემთხვევაში კი მკაცრი რეაგირება უნდა მოხდეს როგორც სასულიერო, ისე საერო პირთა უკანონო თვალთვალისა და მოსმენების გამო, ასევე იმ ადამიანების მიმართ, რომლებიც არიან მასალის გავრცელებაზე პასუხისმგებელნი“ – ნათქვამია საპატრიარქოს განცხადებაში.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი

ვებგვერდი: akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com

საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

ოცნება 43%-ს ვერ აიღებს, გახარიას პარტიისგან 8-10%-ს ველოდები

ნიკა ჩიტაძე: „საქართველომ გამოიარა ეს პერიოდი, როდესაც ერთ მხარეს გამსახურდიას მომხრეები იდგნენ და მეორე მხარეს მოწინააღმდეგეები. შესაძლებელია ასეთი სახის დაპირისპირება ახლაც იყოს“

იაგო ნაცვლიშვილი

ჩამოვა თუ არა სააკაშვილი საქართველოში? რა პროცესები შეიძლება გამოიწვიოს მისმა ჩამოსვლამ? რა უნდა გახდეს განმსაზღვრელი იმისათვის, რომ პარტიებმა შედეგები აღიარონ და როგორია მისი პროგნოზი? — ამ და სხვა საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში პოლიტოლოგი ნიკა ჩიტაძე საუბრობს.

– პირდაპირ გკითხავთ, ჩამოვა სააკაშვილი მას შემდეგ, რაც ვნახეთ თვითმფრინავის ბილეთი? ამჯერად უკვე გადაწყვეტილად უნდა ჩავთვალოთ ეს ამბავი და რა პროცესებს გამოიღებს ეს ქვეყანაში?

– მე პირადად მგონია, რომ მაინც არ ჩამოვა. ის განცხადებებს აკეთებს თავისი მომხრეების მოტივაციის ამაღლების მიზნით და აჟიოტაჟის შესაქმნელად გააკეთა მან განცხადება საქართველოში დაბრუნების შესახებ. მან წარმოადგინა ბილეთი, მაგრამ შესაძლებელია, რომ მერე გააუქმო ჯავშანი. ამიტომ, მე პირადად მგონია, რომ არ არსებობს იმის წინაპირობა, რომ სააკაშვილი დაბრუნდეს. მე პირადად მისი დაბრუნების მომხრე ვარ, მაგრამ ამის წინაპირობა არ არსებობს.

– თუ დაინახავს, რომ „ოცნება“ მარცხდება თვითმმართველობის არჩევნებში, ამ შემთხვევაშიც არ ჩამოვა?

– რომც დამარცხდეს „ოცნება“, მაინც არ იცვლება მოცემულობა. ის დაკარგავს საკრებულოებში უმრავლესობას, ოპოზიცია წარმოდგენილი იქნება მერებით და საკრებულოების უმრავლესობით, მაგრამ „ქართული ოცნება“ ინარჩუნებს ძალაუფლებას ცენტრალურ დონეზე, მას ეყოლება საპარლამენტო უმრავლესობაც და მთავრობაც. აქედან გამომდინარე ეს მოცემულობა არ არის, რომ სააკაშვილი ჩამოვიდეს. მაშინ, თუ ის ჩამოდის, რევოლუციური სცენარი უნდა იყოს და რევოლუციური სცენარი ამ ეტაპზე დაუშვებელია. „ოცნების“ დამარცხებით იქმნება შესაძლებლობა, რომ ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები ჩატარდეს და ამის მიხედვით გადაწყდეს მომავალი ხელისუფლების ბედი.

– ანუ, ციხისთვის არ არის მზად? ხომ შეიძლება, რომ ჩაჯდეს თუნდაც რამდენიმე თვით, ამით ხომ უფრო მოემატება რეიტინგი? ალბათ დასავლეთის აქტიურობაც იქნება, რათა გამოვიდეს ციხიდან. რამდენიმეთვიანი პატიმრობისთვისაც არ არის მზად?

– გამორიცხული არაფერია. შესაძლებელია ჩამოვიდეს და ჩაბარდეს, მაგრამ ამან შეიძლება გამოიწვიოს დაპირისპირების ახალი ტალღა. თუმცა, ვიმეორებ, რომ გამორიცხვაც არ შეიძლება.

– გვაქვს ამის მაგალითიც, როდესაც პოლონეთიდან უკრაინაში არ უშვებდნენ და მაინც ჩავიდა.

– კი, მაგრამ უკრაინაში მის წინააღმდეგ არ ყოფილა სისხლის სამართლის საქმე აღძრული. საქართველოში მართალია უსამართლოდ არის საქმე მის წინააღმდეგ აღძრული, მაგრამ ფაქტია, რომ აღძრულია.

– ანუ, აქ განსხვავებული ვითარებაა?

– კი, განსხვავებულია. მერე, იცით, როგორ არის? „ქართული ოცნება“ მოახდენს მხარდამჭერების მობილიზებას, რომ მისი ჩამოსვლა გააპროტესტონ.

– პრემიერის მხრიდან ამაზე გაკეთდა კიდეც მინიშნება. ეს რას ნიშნავს? ხელისუფლება მობილიზებას აკეთებს და სამოქალაქო დაპირისპირებისთვისაც კი მზადყოფნას გამოხატავენ?

– ცდილობენ შექმნან განწყობა, განსაკუთრებით დასავლეთის თვალში, რომ სააკაშვილმა გაამწარა ხალხი და მის ჩამოსვლას აპროტესტებენ. ხომ გახსოვთ, რომ თავის დროზე ხელისუფლებამ შეკრიბა ხალხი რუსთაველზე მაშინ, როდესაც ოპოზიციის აქცია იმართებოდა. შეკრიბეს ხალხი, თითქოს ზეიმობდნენ იმას, რომ საქართველომ მიიღო ევროსაბჭოს თავმჯდომარეობა. ფაქტია, რომ ხალხი გამოიყვანეს და ეს ბერკეტი გააჩნია ხელისუფლებას. ზოგმა არც იცის, რატომ ჩამოჰყავთ ეს ხალხი, მაგრამ დავალება აქვთ და უნდა ჩამოიყვანონ. რეალობა ასეთია და გათვალისწინებული უნდა იყოს. წინააღმდეგ შემთხვევაში შეიძლება გამოვიდნენ სააკაშვილის მომხრეები და მოწინააღმდეგეები და ამან გამოიწვიოს სამოქალაქო დაპირისპირება.

საქართველომ გამოიარა ეს პერიოდი, როდესაც ერთ მხარეს გამსახურდიას მომხრეები იდგნენ და მეორე მხარეს მოწინააღმდეგეები. შესაძლებელია ასეთი სახის დაპირისპირება ახლაც იყოს, ამიტომ, მე მგონია, რომ ამ ეტაპზე ჩამოსვლის წინაპირობები არ არსებობს. ამიტომ, ყველაფერი შესაძლებელია. შესაძლოა ჩამოვიდეს და მსხვერპლის როლი მოირგოს, შეიძლებ, არ ჩამოვიდეს.

– თუმცა, ახლა უკვე ძალიან მკაფიოდ აქვს ნათქვამი, რომ ჩამოდის, კონკრეტული თარიღიც დასახელებული აქვს და ყველა ელოდება. ახლაც რომ არ ჩამოვიდეს, ეს არ იმოქმედებს მის რეიტინგზე უარყოფითად?

– კი, შესაძლოა იმოქმედოს. როდესაც დაპირებას გასცემს, რომ ჩამოდის და თუ არ ჩამოდის, მაშინ შესაძლებელია უარყოფითად იმოქმედოს, თუმცა აქედან გამოსვლაც შესაძლებელია – ვთქვათ, მიიღო რაღაც ინფორმაცია, რომ დაპირისპირებაა მოსალოდნელი და ა. შ. იტყვის, რომ სამოქალაქო დაპირისპირების თავიდან აცილების მიზნით შეცვალა გადაწყვეტილება.

– როგორ ფიქრობთ, ოპოზიცია შეძლებს, რომ დაიცვას ხმები?

– ნაწილობრივ კი. თუმცა, რეალობა ისაა, რომ ოპოზიციის რეიტინგიც არ არის მაღალი. ამიტომ ოპოზიციამ კი უნდა დაიცვას ხმები, მაგრამ დასავლეთთან თანამშრომლობაც აუცილებელია, რათა დასავლეთმა ზეწოლა განახორციელოს „ოცნებაზე“.

– აღნიშნავთ, რომ ოპოზიციის რეიტინგიც არ არის მაღალი. როგორ უნდა მოიქცეს ის? დამარცხების შემთხვევაში უნდა აღიაროს შედეგები და რა უნდა იყოს განმსაზღვრელი. მაგალითად, ევროპარლამენტარი კალიურანდი ამბობს, რომ „ეუთო/ოდირის“ დასკვნა უნდა იყოს განმსაზღვრელი.

– კი ბატონო, უნდა იყოს განმსაზღვრელი. პარტიებმა პატივი უნდა სცენ მოქალაქეების არჩევანს და საერთაშორისო დამკვირვებლების დასკვნა. მაგრამ, მეორე მხრივ საერთაშორისო დამკვირვებლები მიდიან უბნებზე და სიღრმისეულად არ ეცნობიან ვითარებას. მე, მაგალითად, შარშან ვნახე, რომ მოვიდა ევროკავშირის ერთ-ერთი დამკვირვებელი, გამოიკითხა, როგორი განწყობაა და ა.შ. შევიდა შიგნით, გამობრუნდა და გავიდა, მაგრამ იქ თუ დარღვევები იყო, სიტყვაზე, მოიპარეს ან ჩააგდეს ბიულეტენები ყუთში, ამას ხომ ვერ დააფიქსირებს?!

– თუმცა, ამისთვის არიან სხვა დამკვირვებლებიც, პარტიების წარმომადგენლები, მედია და ა.შ. ისინი ასახავენ დარღვევებს და ამას ალბათ გაითვალისწინებს „ოდირი“. ასე არ არის?

– კი. თუ ოპოზიცია დამარცხდა და გამოვლინდა, რომ დარღვევები არ იყო, მაშინ უნდა მიიღონ მოცემულობა. ოპოზიცია იმასაც იტყვის, რომ წინასაარჩევნო პერიოდში იყო დარღვევები, არ იყო გამჭვირვალობა, იყო ზეწოლა და ა. შ.

– თქვენი პროგნოზი როგორია? რამდენ პროცენტს აიღებს „ქართული ოცნება“?

– თუ დემოკრატიულად ჩატარდა არჩევნები, მაშინ „ოცნება“ 43%-ზე ნაკლებს აიღებს. თუ დარღვევები იქნება, ამ შემთხვევაში გაიზრდება მისი რეიტინგი. წინა არჩევნებზე 43% აიღო, თან მაშინ გახარიას პარტია არ იყო.

– გახარიას პარტიისგან რამდენ პროცენტს ელოდებით?

– 8-10%-ს.

„სააკაშვილის შეწყალებას ამერიკა მხარს არ დაუჭერს“

მირიან მირიანაშვილი: „ოცნებაც“, ნაცმოძრაობაც და გახარიაც ერთი ცენტრიდან იმართება. საქართველოში ორპოლუსიანობასაც და სამპოლუსიანობასაც ივანიშვილი მართავს“

მარიამ მჭედლიშვილი

ქვეყნის პოლიტიკაში შექმნილ სიტუაციასა და მოახლოებულ ადგილობრივ თვითმმართველობის არჩევნებზე „ახალი თაობა“ ესაუბრა ყოფილ დეპუტატს, პოლიტიკური ორგანიზაცია „ერის“ თავმჯდომარეს, მირიან მირიანაშვილს.

– სააკაშვილის მომხრეები აცხადებენ, რომ მესამე პრეზიდენტი დევნილია რუსეთის მიერ. სახელდებიან ჯგუფები, ვისაც მისი საქართველოში ჩამოსვლა არ უნდა. მათი აზრით, ესენი არიან პუტინისტები, კრიმინალები და კორუმპირებული ჩინოსნები. თქვენ რას იტყვით?

– სააკაშვილი არ იდევნება რუსეთის მიერ. სააკაშვილის გასაღება რუსეთის მიერ დევნილად სრული აბსურდია. სააკაშვილი ყოველთვის დაკავშირებული იყო რუსეთის პოლიტიკურ ელიტასთან. ეს ელიტა არ შეცვლილა. სააკაშვილს რუსეთის ელიტასთან დაპირისპირება არ ჰქონია. რუსები არასდროს ყოფილან უკმაყოფილო სააკაშვილით. რაღა 2 ოქტომბრისთვის ხდება რუსეთის მიერ დევნილი? რა, არჩევნები არაფერ შუაშია?! იმის თქმა, რომ სააკაშვილი მარტო პუტინისტებს, კრიმინალებს და კორუმპირებულ ჩინოვნიკებს არ უნდათ, ღიმილის მომგვრელია. საქართველოში არსებობს უამრავი ადამიანი (ჩემი და ჩემი თანამოაზრეების ჩათვლით პოლიტიკურ გაერთიანებაში „ერი“), რომელსაც არ უნდა საქართველოს პოლიტიკაში სააკაშვილის დაბრუნება. საზოგადოების ეს სეგმენტი პუტინის მოწინააღმდეგეა და არ არის ბიუროკრატიის და კრიმინალის ნაწილი.

– ქართველი ექსპერტების აზრით, დასავლეთი მოახდენს ზეწოლას, რომ სააკაშვილი შეიწყალონ.

– ეს გაუთვითცნობიერებელი ადამიანების უცნაური მოსაზრებაა. საქმე პირიქითაა. თუ გახსოვთ, წინა ინტერვიუში გითხარით, რომ პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილთან იყო კბილის მოსინჯვის მცდელობა სააკაშვილის შეწყალების თაობაზე. სალომე ზურაბიშვილმა მოითხოვა გარანტიები, რომ ამ შეწყალებას ლოიალურად შეხვდებიან დასავლეთში და მას არ გაუფუჭდება ურთიერთობა აშშ-სა და საფრანგეთის ხელისუფლებებთან. პრეზიდენტს ეს გარანტიები ვერ მისცეს. შესაბამისად, ის სააკაშვილს ვერ შეიწყალებს. დავუშვათ, აშშ-ის ხელისუფლება თანახმაა სააკაშვილის შეწყალებაზე. მაშინ რატომ დუმს აშშ-ის ელჩი?! რა, კელი დეგნანი საკუთარ ხელისუფლებას აუჯანყდა? სააკაშვილის შეწყალებას რომ მხარს უჭერდნენ, წარმოიდგინეთ, რა ჟივილ-ხივილიანი წინასაარჩევნო კამპანია ექნებოდათ სააკაშვილის მომხრეებს! ასე რომ იყოს, „ქართულ ოცნებას“ არჩევნებზე შანსი აღარ დარჩებოდა. ვიღაცას ჰგონია, რომ სააკაშვილი გამოჩნდება თუ არა თვითმფრინავის ტრაპზე, მას შეწყალების აქტი უნდა დაახვედრონ. ვინც ასე ფიქრობს, იმას არც საქართველოს კანონმდებლობაზე აქვს წარმოდგენა და არც მსოფლიო პროცესებსა და საერთაშორისო პრაქტიკაზე. აშშ და მისი საელჩო სააკაშვილს მხარსაც რომ უჭერდნენ, წინასაარჩევნო საქმეებში არ ჩაერეოდნენ. მით უმეტეს, მას მხარდაჭერა არა აქვს.

– შეიძლება ვთქვათ, რომ სააკაშვილი საქართველოს პოლიტიკაში ბრუნდება?

– ეს 2 ოქტომბერს გამოჩნდება. უკრაინის პრეზიდენტი ზელენსკი სააკაშვილს მოუწოდებდა, გაეკეთებინა არჩევანი. მართალია, სააკაშვილს მაღალი თანამდებობა არ უკავია, მაგრამ მაინც უკრაინის ხელისუფლების რგოლია. ამიტომ, მისი გაუთავებელი ჩარევა საქართველოს პოლიტიკაში ჩრდილს აყენებდა პირადად ზელენსკის. ეს იწვევდა ამერიკელების გაღიზიანებას. იქმნებოდა სურათი, თითქოს სააკაშვილის მოქმედებები შეთანხმებულია ზელენსკისთან. არადა, ასე არ იყო. ამიტომ, უკრაინის პრეზიდენტმა სააკაშვილს მოუწოდა, აირჩიოს ან საქმიანობა უკრაინაში, ან – ქართული პოლიტიკა. სააკაშვილმა ზელენსკის უთხრა, რომ 2 ოქტომბრამდე აცალოს.

– მაინც, რას უნდა ველოდოთ?

– არ გამოვრიცხავ, რომ სააკაშვილმა შუალედური მდგომარეობა აირჩიოს. მას 2 ოქტომბერს ექნება ჩამოსვლის მცდელობა, შემდეგ, ის უკრაინაში დაბრუნდება. მისი ახლანდელი აქტივობა წინასაარჩევნო სპექტაკლის შთაბეჭდილებას ტოვებს. ეს საჭიროა პოლარიზაციისა და შუას გაკრეფისთვის.

– ჩამოვა თუ არა სააკაშვილი, პოლარიზაცია და რადიკალიზაცია 2 ოქტომბრის საღამომდე უზრუნველყოფილია, ბევრი პარტია კი ისევ ამოაგდეს პროცესიდან?

„თუ საქართველოს ხელისუფლება არ დანიშნავს რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნებს, დასავლეთიდან სერიოზული სანქციებია მოსალოდნელი“

– ჩემს თავზე და პარტია „ერზე“ შემიძლია ვთქვა. გვამყოფებენ ტოტალურ საინფორმაციო ბლოკადაში. საარჩევნო კამპანიას ვატარებთ ინდივიდუალურ დონეზე. ფაქტია, რომ „ქართული ოცნებისთვისაც“ სააკაშვილის ჩამოსვლა-ჩამოუსვლელობა გახდა მთავარი საინფორმაციო თემა. აქ მკაფიოდ ჩანს „ქართული ოცნებისა“ და ნაციონალური მოძრაობის სოლიდარობა. სხვა სახელმწიფოებში შეუძლებელია, ერთი პარტია ეწეოდეს მეორე პარტიის საინფორმაციო მომსახურებას. სააკაშვილს თუ არდაჭერის გარანტია არა აქვს, საქართველოში ფეხს არ შემოადგამს. თუ საქართველოში შემოვა, იმ გარანტიით შემოვა, რომ არ დაიჭერენ. გარანტიის მიმცემი კი ერთადერთია – ბიძინა ივანიშვილი. საქართველოს „ძირითად“ პოლიტიკურ სპექტრში მუდმივად სპექტაკლები თამაშდება. მასში სხვებთან ერთად ივანიშვილი და სააკაშვილი მონაწილეობენ. ერთი მძაფრი სცენა დაიდგა ცოტა ხნის წინ თბილისში ევროკავშირის ოფისთან.

– სადაც კობახიძე და მელია დაუპირისპირდნენ ერთმანეთს?

– დიახ, მაგ შემთხვევაზე ვამბობ. თქვე დალოცვილებო, პარლამენტში ჰარმონიულად თანამშრომლობთ, ერთმანეთთან გარიგებაზე მიდიხართ და ევროკავშირის მისიასთან მოგინდათ ჩხუბი? ეს სცენები უკვე საცირკო სანახაობად გადაიქცა და ძალიან მობეზრდათ დასავლელ პარტნიორებს. ზოგიერთი „მსახიობი“ პოლიტიკოსი აშშ-ის ელჩის წინ ახდენდა კინკლაობის იმიტაციას. აშშ-ისა და ევროკავშირის მედიაციით ეწყობოდა შეხვედრები და მაინცდამაინც იქ ჩხუბობდნენ ერთმანეთში გარიგებული პარტიები.

– ამ არჩევნებში მონაწილეობს გახარიაც თავისი პარტიით. ის როგორ ეწერება პოლარიზაციაში?

– გახარიას შემოყვანით უნდათ სამპოლუსიანობის იმიტაცია. საერთაშორისო პოლიტტექნოლოგიური საამქროს საერთო აზრი ასეთია – საქართველოში ორპოლუსიანობაც გათამაშებულია და სამპოლუსიანობაც. „ოცნებაც“, ნაცმოძრაობაც და გახარიაც ერთი ცენტრიდან იმართება. საქართველოში ორპოლუსიანობასაც და სამპოლუსიანობასაც ივანიშვილი მართავს. სისტემის საცეცები მიბმულია რუსეთზე.

– სამპოლუსიანობის იმიტაციით მრავალპარტიულობის განცდა იქმნება?

– მრავალპარტიულობისა და კოალიციური მმართველობის. ბიძინა ივანიშვილი მიხვდა, რომ ორპოლუსიანმა მოდელმა თავი ამოწურა და მოიფიქრა ტრანსფორმაცია.

– ახალი მოდელი საქართველოს ფარგლებს გარეთ ნდობას არ იმსახურებს?

– არ იმსახურებს. ამ მოდელით პოლიტიკური კრიზისი ვერ მოგვარდება. ხალხს ეს მოდელი არ მოსწონს. საუბედუროდ, პოლიტიკური ტრანსფორმაციებისას საქართველოს საზოგადოების აზრს არ ითვალისწინებენ.

– საშველი არ ყოფილა.

– საშველი არის. ამ ეტაპზე, ხსნა იმაშია, რომ ადამიანები მივიდნენ 2 ოქტომბერს არჩევნებზე და ხმა მისცენ სხვა პარტიებს. ხმა არ უნდა მისცენ იმათ, ვინც შეიყვანეს ხელოვნურ სამპარტიულ სისტემაში. უნდა ითქვას, რომ ბიძინა ივანიშვილს პოლიტიკური ტრანსფორმაციები გამოსდის. ეს მის მიერ განხორციელებული მეოთხე ტრანსფორმაციაა. ამაში ივანიშვილი მოქნილია. მას მახვილი ინტუიცია აქვს.

– მიუხედავად ამისა, დასავლეთში ამ კონსტრუქციებს ეჭვით უყურებენ?

– დიახ. ბიძინა ივანიშვილი კარგავს ნდობის კრედიტს. თუ არჩევნებიდან რამდენიმე თვეში მაინც არ დაინიშნება ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები, ამერიკელების დამოკიდებულება უფრო გამკაცრდება. ახლაც მკაცრია, მაგალითად, პრემიერ ღარიბაშვილის მიმართ. კრიზისიდან გამოსასვლელად აუცილებელია ახალი, განსხვავებული მოდელი, ანუ რეალური ტრანსფორმაცია. ვფიქრობ, რომ ბიძინა ივანიშვილი ამ გზას დაადგება. თუ არადა, მოველი კატაკლიზმებს. თუ საქართველოს ხელისუფლება არ დანიშნავს (მაგალითად, იანვრის შუა რიცხვებში) ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებს, დასავლეთიდან სერიოზული სანქციებია მოსალოდნელი. ეს არჩევნები დარღვევის გარეშე ვერ ჩაივლის. გარკვეული ძალები გეგმავენ მობილიზებას არჩევნების შედეგების გასაპროტესტებლად. იმის გამო, რომ არსებობს რევოლუციის საფრთხე, აშშ არჩევნების შედეგების შეფასებისას იქნება მოზომილი. აშშ არ დაუდგება გვერდით რევოლუციის მონაწილეებს.

–შესაძლო რევოლუციაზე კიდევ რის თქმა შეგიძლიათ?

– ჯერ ვიტყვი იმას, რომ ივანიშვილი კულუარულად აშშ-ში აგ ზავნის მესიჯებს. ის აცხადებს მზადყოფნას, დაინიშნოს ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები. ივანიშვილი პირობას იძლევა, რომ შესრულდება მიშელის დოკუმენტ ში ჩაწერილი რეფორმები. ეს ყველაფერი მოხდება მოგვიანებით. მანამდე პაუზაა და სააკაშვილი ცდილობს ამ პაუზის შევსებას.

– და უპირისპირდება ივანიშვილს?

– სააკაშვილი და ივანიშვილი მუდმივად არიან თან გარიგებულები და თან დაპირისპირებულები. დაახლოებით ერთი კვირის წინ სააკაშვილმა აშშ-ში 50-მდე წერილი აფრინა. მან მისწერა სენატორებს, რომ საქართველოში ოლიგარქიული მმართველობის დამთავრება უნდა. სააკაშვილის წერილებში ჩამოთვლილია ივანიშვილის დანაშაულები. ის ივანიშვილს პუტინის ბანკირად მოიხსენიებს. ამერიკელებს სერიოზული რეაქცია აქვთ ოლიგარქიულ რეჟიმებზე. სააკაშვილმა ეს იცის და სათავისოდ იყენებს. სააკაშვილი ამერიკელებს ჩაგონებს, რომ პოლიტიკური ალტრუისტი და დემოკრატიის ჩირაღდანია. რაც შეეხება რევოლუციას, იგეგმება შარშანდელი სცენარის უფრო მძაფრი ვარიანტი. რა გამოუვათ, სხვა საქმეა.

„სააკაშვილი არალეგალურად თუ შემოვა, მომაკვდინებელი დარტყმა იქნება ხელისუფლებისთვის“

ვახტანგ ძაბირაძე: „სააკაშვილის ჩამოსვლა მობილიზებას გაუკეთებს „ოცნების“ იმ ამომრჩეველს, რომელიც აღარ აპირებდა არჩევნებზე წასვლას. გახარიას კი ნამდვილად არ აწყობს სააკაშვილის ეს განცხადება“

ნათია ხურცილავა

პოლიტოლოგი ვახტანგ ძაბირაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში ბოლო დღეებში განვითარებულ პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.



– ბატონო ვახტანგ, ნიკა მელია აცხადებს, რომ მას აქვს ინფორმაცია, თუ როგორ არ ენდობა „ოცნება“ პრეზიდენტ ზურაბიშვილს და უშვებენ შესაძლებლობას, რომ სააკაშვილი შეიწყალოს. თქვენ უშვებთ ამ შესაძლებლობას?

– რა თქმა უნდა, გამორიცხული არაფერია, მაგრამ სალომე ზურაბიშვილის ასეთი მკვეთრი დამოუკიდებლობის დიდად არ მჯერა. მე მაინც ვფიქრობ, რომ სააკაშვილის შეწყალება დამოკიდებული იქნება პოლიტიკურ პროცესზე, თუ როგორ გაგრძელდება ის. თუ მიტინგები იქნება ძალიან მძლავრი, თუ ხელისუფლებაზე დასავლეთის ზეწოლა იქნება, მაშინ არ გამოვრიცხავ, მაგრამ მაინც მგონია, რომ სალომე ზურაბიშვილი ამ გადაწყვეტილებას დამოუკიდებლად მაინც ვერ მიიღებს და ის აუცილებლად იქნება ხელისუფლებასთან შეთანხმებული.

პრეზიდენტმა ზურაბიშვილმა ვინც აქამდე შეიწყალა, პოლიტიკურ ფიგურებს ვგულისხმობ, ისინი სხვა პოლიტიკური წონის იყვნენ. სააკაშვილს კი სხვა პოლიტიკური წონა აქვს. ამიტომ, ვამბობ, რომ გაუჭირდება ამ გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღება. ეს პირდაპირ პოლიტიკური პროცესია და სისხლის სამართლის.

– ხელისუფლებისთვის სააკაშვილის ჩამოსვლა თავის ტკივილი იქნება?

– გულწრფელად რომ გითხრათ, არ მჯერა, სააკაშვილი რომ ამ ნაბიჯს გადადგამს. თუმცა, თუ ჩამოვიდა, ხელისუფლებას არჩევანი არ აქვს. ის იძულებული იქნება, რომ დააკავოს. მის დაპატიმრებას კი დიდი აქციები მოჰყვეს, რომელიც მკვეთრად შეცვლის პოლიტიკურ რეალობას, ამის მოლოდინი არ მაქვს. შეიძლება ვცდები, მაგრამ ადამიანებში არ არის ასეთი განწყობა.

რამ შეიძლება პროცესებზე ყველაზე დიდი ეფექტი იქონიოს? სააკაშვილის როგორმა ჩამოსვლამ? ყველაზე ეფექტური იქნება თუ სააკაშვილი შეძლებს ქვეყნის საზღვრის არალეგალურად გადმოლახვას.

– ჩუმად შემოსვლას?

– დიახ, ჩუმად და 3 ოქტომბერს, როდესაც საპროტესტო მიტინგი გაიმართება, იქ მოულოდნელად სიტყვით გამოვიდეს. ეს იქნებოდა დამანგრეველი, მომაკვდინებელი დარტყმა ხელისუფლებისთვის. გასაგებია, რომ მიტინგზეც დააპატიმრებენ, მაგრამ ეფექტი სრულიად სხვა იქნება და ამჯერად სწორედ ეფექტის მოხდენაზე ვაკეთებ აქცენტს. ჩათვალეთ, არათუ რიგგარეშე არჩევნები, საერთოდ კატასტროფა იქნება ხელისუფლებისთვის.

– სახელმწიფო საზღვრებს ვერ აკონტროლებს?

– რასაკვირველია! სახელმწიფოს ძალოვანი სტრუქტურები სრულად არის მოშლილი და მათი ფასი ნულის ტოლია. ეს იქნებოდა მართლაც კატასტროფა, მაგრამ ამის განხორციელებას როგორ შეძლებს? ერთადერთი, საქართველოს ხელისუფლების მიერ არაკონტროლირებადი ტერიტორიებიდან შემოსვლაა ან ენგურიდან, ან ცხინვალიდან.

– მაშინ პირდაპირ რუსეთთან იქნება ბმა ში.

– დიახ, ამიტომ ეს ვარიანტი ალბათ გამორიცხულია. თვითმფრინავის რეისი უკრაინა-თბილისი თუ თბილისის საერთაშორისო აეროპორტზე დაჯდება, ხელისუფლება მას აუცილებლად აიყვანს. სხვა გზა, უბრალოდ, არ აქვთ. აქ დემოკრატია არაფერ შუაშია. თუ არ დააკავებენ, ეს დემოკრატია კი არა, კანონის უგულებელყოფა იქნება. მაშინ ძალიან სუსტი გამოჩნდება ხელისუფლება ყველას თვალში. რასაკვირველია, პირველ რიგში თავისი ამომრჩევლის თვალში. თუ ამას არ გააკეთებს, ჩათვალეთ, რომ „ქართული ოცნება“ ძალაუფლების განხორციელებაზე ამბობს უარს. თუ არადა, ხვალვე უნდა გამოვიდეს პრეზიდენტი და განაცხადოს, რომ პოლიტიკური რეალობის გათვალისწინებით თუ სხვა მიზეზების მოშველიებით, იწყალებს სააკაშვილს.

– გახარია უკვე ამბობს, რომ თუ ჩამოვიდა, ეს „ქართულ ოცნებასთან“ იქნება შეთანხმებული.

– „ქართულ ოცნებას“ მისი ჩამოსვლა ნამდვილად არ აწყობს. რაც შეეხება განცხადებას – ჩამოვდივარ, რასაც აქამდე აკეთებდა, კი, ნამდვილად აწყობს. სააკაშვილის ჩამოსვლა მობილიზებას გაუკეთებს „ოცნების“ იმ ამომრჩეველს, რომელიც აღარ აპირებდა არჩევნებზე წასვლას. რაც შეეხება გახარიას, მას კი ნამდვილად არ აწყობს სააკაშვილის ეს განცხადება.

– რატომ?

– ძირითადი ელექტორალური დარტყმა ადგება სწორედ გახარიასა და დანარჩენ პატარა პარტიებს.

„არჩევნები 2 ოქტომბრამდე უკვე ყალბდება“

მამუკა ტუსკაძე: „ოქტომბერი საშინელი იქნება, ნაციონალები მეორე ტურში მონაწილეობას არ მიიღებენ და აქციებს მოაწყობენ“

გულიკო ბალაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს პოლიტიკური მოძრაობა „სოციალური სამართლიანობისთვის“ ლიდერი მამუკა ტუსკაძე პასუხობს.

– არჩევნები კარს მოგვადგა. როგორ მიდის პროცესები?

– წინასაარჩევნო კამპანია მეტ-ნაკლებად დაძაბულად მიმდინარეობს. წინა არჩევნები მეტად მშვიდი იყო, ვიდრე – ახლანდელი. რადიკალური ოპოზიცია ცდილობს სიტუაცია რამენაირად დაძაბოს, რომ „ქართულმა ოცნებამ“ 43%-იანი ზღვარი ვერ გადალახოს. ამის იმედი აქვს და აქედან გამომდინარე, ცდილობს ვითარება დაძაბოს, რაც არასწორად მიმაჩნია.

– რატომ?

– მეც ოპოზიცია ვარ და ძალიან მინდა ხელისუფლებამ ნაკლები ხმები მიიღოს, მაგრამ არ მინდა, ეს ქვეყანაში დესტაბილიზაციის, არეულობის ხარჯზე მოხდეს, რაც რადიკალურ ოპოზიციას არ აინტერესებს. მათთვის მიზანი ამართლებს საშუალებას, რაც ამ შემთხვევაში არასწორია, რადგან ჩემი და ჩემნაირი პოლიტიკური ორგანიზაციები ხელისუფლებას ოპონირებას იმიტომ უწევენ, უკეთესი ხელისუფლება გვყავდეს და არა უარესი.

– რადიკალური ოპოზიცია სიტუაციას ძაბავსო. სიტუაციას ისიც ძაბავს, რომ ყოფილმა პრეზიდენტმა კიევი-თბილისის თვითმფრინავის ბილეთი გამოაქვეყნა. აცხადებს, 2 ოქტომბერს საქართველოში მოვემგზავრებიო.

– ბილეთს თარიღი თუ ეწერა? სააკაშვილი საქართველოში შეიძლება ჩამოვიდეს მაშინ, თუ ჯამში ოპოზიცია 57%-ზე მეტს აიღებს. მიშა აქამდეც უნდა ჩამოსულიყო და სასჯელი უკვე მოხდილი ექნებოდა. შემდეგ თუ დაინტერესდებოდა, პოლიტიკურ პროცესშიც ჩაერთვებოდა. გაუგებარია, მმართველობაზე პრეტენზიები გქონდეს და სასჯელის შიშით სხვა ქვეყანაში იმყოფებოდე.

სასჯელის მოხდა დაიწყოს. თუ უკანონოა, მთელი ქვეყანა და მსოფლიო დაუდგება, მხარს დაუჭერს, მაგრამ რატომღაც მგონია, რომ თვითონაც მიაჩნია, რომ სასჯელი კანონიერია.

– არა, სააკაშვილი ამბობს, რაც ჩემ მიმართ პრეტენზიები და ბრალდებებია, ყველაფერი გამოგონილიაო.

– რას ამბობ? ავტოკრატიული და ტოტალიტარული სახელმწიფო რომ შექმნა, გამოგონილია? 3 მილიონიან ქვეყანაში 10%-ზე მეტმა, 300 ათასმა ადამიანმა კპზ-ეები და პირობითი სასჯელები გამოიარა, გამოგონილია? ასეთი დამნაშავე ერი ვართ? ეგ არის სააკაშვილის მთავარი დანაშაული. ხელისუფლების სისუსტე ისაა, რომ სააკაშვილი მხოლოდ კოსტუმების საქმეებზეა გასამართლებული.

– ღარიბაშვილმა განაცხადა, რომ სააკაშვილს ჩამოსვლისთანავე დაუპატიმრებენ.

– ასეთი კანონი არსებობს. თუ რაღაც გზით შემოიპარება, შეიძლება რამდენიმე საათით გვიან მოხდეს მისი დაპატიმრება, მაგრამ არ ვიცი, როგორ უნდა შემოიპაროს ამ ქვეყანაში.

– თუ სააკაშვილი ჩამოსვლას გაბედავს, ალბათ, მისი მომხრეების მობილიზაციის იმედი ექნება. შეიძლება სააკაშვილის დასახსნელად და დასაცავად დიდი მასა შეიკრიბოს?

– დიდი მასა არ შეიკრიბება, მაგრამ დარწმუნებით შემიძლია გითხრათ, რაც აშფოთებს ხელისუფლებას: სააკაშვილი დამნაშავეა, კრიმინალია, მაგრამ ლიდერია.

– პარტიის ლიდერი?

– პარტიის ლიდერიცაა, მაგრამ, ზოგადად, პოლიტიკური ლიდერია ისევე, როგორც სხვა პოლიტიკოსები. მას ჰყავს ელექტორატი. რამდენიმე ათასი კაცის გამოყვანა დღეს ზვიადის მომხრეებსაც შეუძლიათ, სტალინის მომხრეებსაც და შევარდნაძის მომხრეებსაც. ცოტა მეტს მოაგროვებს სააკაშვილი. შეიძლება იყოს რამდენიმე ათასი ადამიანი. მათ არ შეუძლიათ სახელმწიფო ხელისუფლება შეარყიონ, მაგრამ შეუძლიათ აქციები გამართონ.

– მასა არის 50, 100 ათასი.

– სააკაშვილის ჩამოსვლა 50 და 100 ათას ნამდვილად ვერ შეაგროვებს. ის შეაგროვებს, იმდენს, რასაც აგროვებს ხოლმე ნაცმოძრაობა აქციების დროს, ანუ რამდენიმე ასეულს და დაიშლებიან. მსოფლიო თანამეგობრობა გამოეხმაურება და, თუ სააკაშვილი მართალი იქნება, ან გაამართლებენ, ან სასჯელს შეუმსუბუქებენ. სააკაშვილს ბევრჯერ ჰქონდა პარლამენტის წევრად არჩევის შანსი, იმუნიტეტი ექნებოდა და ქვეყანაში ჩამოვიდოდა, მაგრამ ეს არ გააკეთა, რადგან ეშინია. მას ციხეში სამი დღით ჩაჯდომაც არ შეუძლია.

აწი სააკაშვილი ვერასოდეს იქნება ჩვენი ქვეყნის მთავარსარდალი, მაგრამ მე, როგორც ლიბერალური ღირებულების ადამიანი, ვფიქრობ, ამ ქვეყანაში უნდა იცხოვროს ჩვეულებრივად. რამდენი პატიმარია, რომელიც ციხიდან გამოდის და ცხოვრებას ჩვეულებრივად აგრძელებს. სასჯელი მოიხადოს, ან რაღაც შეეხება. სააკაშვილის ჯალათი პროკურორები, რომლებიც დღეს სხვადასხვა პარტიებში არიან გაფანტული, ამბობდნენ, არა უშავს, ახლა მოგისჯით 5-10 წელს და მერე რაღაც შეგეხებათო.

ამას ეუბნებოდნენ პოლიტიკურ პატიმრებს, თითქოს გული რომ არ გახეთქოდათ. საქართველოში ასეულობით პოლიტიკური პატიმარი იყო, აქტივობისთვის დაჭერილი ადამიანები.

– თქვენც იგივეს გეუბნებოდნენ?

– დიახ, მეც იგივეს მეუბნებოდნენ. მართალიც აღმოჩნდნენ. 30 წელი მომისაჯეს და ორწელიწადნახევარში გამოვედი.

– თქვენ 30 წელი გქონდათ მოსჯილი?

– ჰო, საჯარო რეესტრში ვიღაცას მიეხმარე რეგისტრაციაში გატარებაშიო. ჯერ ერთი, ვერ დაამტკიცეს, მაგრამ მიხმარებულიც რომ ვყოფილიყავი, 30 წელი რა ამბავია. შემდეგ 13 წელზე ჩამომიყვანეს და 2 წლისა და 6 თვის მოხდა მომიწია.

– ყველა რომ დაისაჯოს, ციხეები ხომ ისევ აივსება და ისევ 24 ათასზე ავა?

– არა, 24-ზე არ ავა. ადმინისტრაციული რესურსი დაახლოებით 2 ათასი კაცია, რომელიც მუშაობდა ციხეებში, პროკურატურასა და შს-სა და სასამართლოში. 2 ათასი კაციდან 57 კაცი იხდის დღეს სასჯელს წინა 9-წლიანი რეჟიმის მსახურობისთვის, ალბათ, სულ 5700 კაცია დამნაშავე. დაახლოებით 2000 კაცია, რომელთა მიმართ უნდა მოეწყოს ნიურნბერგის პროცესი. 2000 კაცი უნდა გასამართლებულიყო და სულ გაასამართლეს 57. ლიდერებიდან 50 საზღვარგარეთაა გაქცეული და სიმშვიდეშია.

– სიმშვიდესა და განცხრომაში არიან აქედან წაღებული ფულებით.

– დიახ. ციხეში მხოლოდ ახალაიაა. მერაბიშვილი ჩასვეს, ისიც ციხიდან გამოვიდა. ხელმძღვანელებიდან 7 კაცამდეც ვერ ავდივართ.

– ამბობთ, თუ ოპოზიცია 57%-ზე მეტს აიღებს, რიგგარეშე არჩევნები დაინიშნება. ოპოზიციას აქვს შანსი, რომ 57%-ზე მეტი აიღოს?

– გამორიცხულია. ამას ყურადღებას არავინ აქცევს.

– რატომ არის გამორიცხული?

– თბილისის გარეთ იმ პარტიების საარჩევნო სიებს გადახედეთ. დააკვირდით, რეგიონებში არჩევნებში მონაწილეობენ „ოცნება“, ნაცმოძრაობა და გახარიას პარტია, ისიც ყველგან არა, ანუ მხოლოდ ორი ან სამი პარტია მონაწილეობს. ეს იმას ნიშნავს, ძალიანაც რომ გინდოდეს, ხმა სხვას მისცე, ხმები მაინც 2-3 პარტიაზე ნაწილდება. ხმები პოლარიზებულია და ორ პარტიაზე იყოფა. აქედან, მათ შორის, ხალხი ხმას „ქართულ ოცნებას“ მისცემს.

უბედურება ისაა, რომ ყველა პარტიამ მთლიანად საქართველოში ვერ დააკომპლექტა სიები, მხოლოდ თბილისშია 16, სხვა დიდ ქალაქებშია 5-6, დანარჩენ რაიონებში, სადაც ბევრი ხმებია, ვერ მონაწილეობენ. მაგალითად, ხონში ორი პარტია მონაწილეობს „ქართული ოცნება“ და ევროპული საქართველო. ნაცებს გადაბარებული აქვს ევროპული საქართველოსთვის. ძალიან ცუდი მდგომარეობაა. გამოდის, ნაცმოძრაობამ ხმების 40%-ზე მეტი უნდა მიიღოს. შევეშვათ „ოცნებას“, ნაცმოძრაობა ხომ ვერ აიღებს 30%-ზე მეტს, დანარჩენი 70% ხომ სხვა პარტიებისაა.

– აჭარაში ვიმყოფებოდი და იქიდან მოყოლებული თბილისამდე არც ნაცმოძრაობის, არც სხვა ოპოზიციური პარტიების ერთი სარეკლამო პლაკატი არ მინახავს, გარდა „ოცნებისა“.

– რეგიონებში ძირითადად ბიძინა ივანიშვილსა და მიშა სააკაშვილს იცნობენ. ესეც ერთ-ერთი არგუმენტია. მიშა სააკაშვილის გუნდი 30%-ზე მეტს ვერ აიღებს, ეს ავტომატურად იმას ნიშნავს, რომ „ქართული ოცნება“ 45%-ზე მეტს აიღებს. ნაცები ემზადებიან რევოლუციისთვის. ამიტომ არ ატარებენ აქტიურ საარჩევნო კამპანიას.

– ანუ ფულს ზოგავენ?

– რა თქმა უნდა. მათ მხოლოდ სიტუაციის დაძაბვაზე აქვთ გათვლა. წინა დაძაბვაზე საერთაშორისო ორგანიზაციებმა შეარიგეს და დააშოშმინეს. ახლაც სიტუაცია დაიძაბება, ოქტომბერი საშინელი იქნება. მეორე ტურებში ისინი მონაწილეობას არ მიიღებენ და აქციებს ჩაატარებენ. ახალ წლამდე ასე იქნება. ახალი წლის შემდეგ კიდევ რაღაც იქნება.

– ე.წ. მესამე ძალა რომ არის, ის ვერაფერს აიღებს?

– ამ შემთხვევაში მესამე ძალა არის გახარია.

– ვაშაძეების „მესამე ძალას“ ვგულისხმობ.

– არა, ვაშაძემ ბარიერი თუ გადალახა, დიდად მადლობელი უნდა იყოს. ნახავთ, რომ ბარიერის ზღვარზე იქნება 7-8 პარტია, მხოლოდ ორი პარტია და გახარია მიიღებენ ხმებს. „ოცნება“ მეტს აიღებდა, მაგრამ გახარია დაახლოებით 10-%ს წაიღებს.

– ეჭვს გამოთქვამენ, რომ ხმები სათანადოდ არ დაითვლება. შეცვლილი საარჩევნო კოდექსისა და ამდენი საუბრების შემდეგ, მოსალოდნელია ხმები წესიერად არ დაითვალონ?

– ხალხმა არ იცის. არჩევნები არჩევნების დღემდე ყალბდება.

– როგორ?

– წინასაარჩევნო აგიტაცია-პროპაგანდა, „ოცნებისა“ და ნაცმოძრაობის გარდა, სხვა პარტიებს მთლიანად შეზღუდული აქვთ. სატელევიზიო, ადმინისტრაციული და ფინანსური რესურსი ამ ორ პარტიას აქვს. მიშა სააკაშვილის ფლანგიც და ირაკლი კობახიძის ფლანგიც ორივე მილიარდერებია.

– ამ ორ პარტიას არანაირი ფულადი რესურსი რომ არ ჰქონდეს და ფული ახალ და პატარა ოპოზიციურ პარტიებზე გადანაწილდეს, დიდ პროცენტებს აიღებენ?

– მხოლოდ ფული არ წყვეტს, მაგრამ გაცილებით დიდ პროცენტს აიღებენ. ნაცმოძრაობის სატელევიზიო რესურსი რომ მქონდეს, თუ ნაცმოძრაობა 30%-ს აიღებს, მე პირველივე არჩევნებში 20%-ს ავიღებდი. დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, როგორ შეძლებ მასმედიასთან ურთიერთობას.

განსაკუთრებით მაღალი რისკის ჯგუფებისთვის გრიპის ვაქცინის 200.000 დოზა არის შეძენილი

დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის გადამდებ დაავადებათა ცენტრის ხელმძღვანელის ხათუნა ზახაშვილის განცხადებით, სახელმწიფომ წელს 200.000 დოზა გრიპის ვაქცინა შეიძინა, საიდანაც 43.000 დოზა უკვე საქართველოშია.

მისივე თქმით, არსებული 43.000 დოზით დიალიზზე მყოფი ადამიანები, ორსულები და სამედიცინო პერსონალი აიცრებიან, სხვა მაღალი რისკის ქვეშ მყოფი ადამიანები კი ვაქცინის დარჩენილი დოზების მოწოდების შესაბამისად აიცრებიან.

ამასთან, ზახაშვილმა აღნიშნა, რომ გრიპის საწინააღმდეგო იმუნიზაცია ახლა, რაც შეიძლება ადრე, გრიპის სეზონის დაწყებამდე უნდა ჩატარდეს, როგორც კი ვაქცინა ხელმისაწვდომი გახდება.

ადვოკატი: „სისხლი გიორგი მენაბდის მაისურსა და შარვალზე თავად მენაბდეს ეკუთვნოდა“

დავით სარალიძის მკვლელობის საქმის პროკურორის, მირიან მეგრელიშვილის განცხადებით, სასამართლოში გუშინ, 29 სექტემბერს, დაკითხულმა მოწმემ დაადასტურა, რომ მასთან სახლში მისულ გიორგი მენაბდეს ტანსაცმელი სისხლიანი ჰქონდა.

როგორც მეგრელიშვილი განმარტავს, დანარჩენმა მოწმეებმა ასევე დაადასტურეს, რომ გიორგი მენაბდე ხორავას ქუჩაზე მომხდარ კონფლიქტში მონაწილეობას იღებდა.

– დაკითხული სამი მოწმე არიან ის პირები, რომლებიც გიორგი მენაბდეს 2017 წლის პირველ დეკემბერს, საღამოს საათებში შეხვდნენ, ანუ მას შემდეგ, რაც ის ხორავას ქუჩიდან გამოვიდა და მეგობართან სახლში დაბრუნდა. მოწმეებმა დაადასტურეს ინფორმაცია, რომ გიორგი მენაბდემ 51-ე სკოლის მოსწავლეებთან ხორავას ქუჩაზე კონფლიქტში მიიღო მონაწილეობა.

ერთ-ერთმა მოწმემ დაადასტურა, რომ მასთან მისვლის დროს გიორგი მენაბდეს ტანსაცმელი სისხლიანი ჰქონდა და ის დაეხმარა ამ სისხლიანი ტანსაცმლის გარეცხვაში. ასევე მოწმეებმა დაადასტურეს, რომ გიორგი მენაბდეს ზურგის არეში დაზიანება ჰქონდა მიღებული, რომელიც ხორავას ქუჩაზე მომხდარი კონფლიქტის დროს მიიღო. თუმცა, მოწმეებმა დამატებითი გარემოებები, თუ რა მოხდა, რა ვითარებაში დაიჭრა გიორგი მენაბდე, რა ვითარებაში მიიღეს დაზიანებები დავით სარალიძემ და ლევან დადუნაშვილმა, ამასთან დაკავშირებით მოწმეებმა განმარტეს, რომ ისინი ინფორმაციას არ ფლობენ.

ამ მოწმეებს ინფორმაცია თავად ბრალდებულისგან ჰქონდათ, ერთმა მოწმემ კი დაადასტურა ის, რაც თავისი თვალით ნახა, რომ მასთან სახლში მენაბდე სისხლიანი ტანსაცმლით მივიდა და ეს ერთად გარეცხეს, – განაცხადა მეგრელიშვილმა.

გიორგი მენაბდის ადვოკატ დავით დადიანის თქმით, სისხლი, რომელიც ბრალდებულის მაისურსა და შარვალზე იყო, თავად მენაბდეს ეკუთვნოდა.

როგორც დავით დადიანი განმარტავს, გიორგი მენაბდე ზურგის არეში იყო დაჭრილი, რის გამოც მისი ტანსაცმელი სისხლიანი იყო.

– მოწმეები ადასტურებენ, რომ გიორგი მენაბდეს ზურგზე დაზიანება ჰქონდა. აქედან გამომდინარე, სისხლი ჩამოდენილი იყო ზურგიდან ქვევით, რის გამოც დასვრილი იყო როგორც მაისური, ასევე შარვალი. ეს იყო გიორგი მენაბდის სისხლი. ექსპერტიზის დასკვნებით რა სისხლია და საიდანაა ამოღებული, ეს ცალკე საკითხია.

როგორც გამოკითხვიდან ჩანს, სისხლი, რომელიც მაისურსა და შარვალზე იყო, გიორგი მენაბდეს ეკუთვნოდა. ექსპერტიზა ჯერ არ გამოგვიკვლევია, მოვა ექსპერტი და ამის შემდეგ გახდება მათი აზრი ცნობილი, შესაბამისად, ამ მტკიცებულებებს შემდეგ შევაჯამებთ. ეს მაისური გამოძიებაში თვითონ გიორგი მენაბდემ წარადგინა, გარეცხილი, მაგრამ გარეცხილზეც შეიძლება ამოიღო სისხლის კვალი, ეს პრობლემას არ წარმოადგენს, – განაცხადა დადიანმა.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ დავით სარალიძის მკვლელობის ფაქტზე გიორგი მენაბდე 15 აპრილს დააკავა. უწყების ინფორმაციით, მიმდინარე გამოძიების ფარგლებში დადგინდა, რომ დაკავებულმა გიორგი მენაბდემ გიორგი ჯანაშიასთან და მიხეილ კალანდიასთან ერთად, ჯგუფურად, თან ნაქონი ბასრი საგნით, მოკვლის განზრახვით, არასრულწლოვან დავით სარალიძეს დაზიანებები მიაყენა.

2017 წლის პირველ დეკემბერს, ხორავას ქუჩაზე მომხდარი მკვლელობის საქმეზე, რომელსაც ორი მოზარდის, დავით სარალიძისა და ლევან დადუნაშვილის სიცოცხლე ემსხვერპლა, მსჯავრდებულები იყვნენ – გიორგი ჯანაშია, გუგა ბარბაქაძე და მიხეილ კალანდია. აღსანიშნავია, რომ დავით სარალიძის განზრახ ჯგუფურად მკვლელობაში მსჯავრდებულმა გიორგი ჯანაშიამ პენიტენციური დაწესებულება უკვე დატოვა. ის ე.წ. უდოს კომისიამ გაათავისუფლა. მას საპროცესო შეთანხმების საფუძველზე 4 წლით თავისუფლების აღკვეთა ჰქონდა შეფარდებული.

რაც შეეხება მიხეილ კალანდიას, მას სამივე ინსტანციის სასამართლოს მიერ პატიმრობა 11 წლითა და 3 თვის ვადით აქვს მისჯილი.

თეთრიწყაროს სასამართლომ „ოცნების“ მერობის კანდიდატი და საარჩევნო უბნის თავმჯდომარე 2.000 – 2.000 ლარით დააჯარიმა

„ადამიანის უფლებათა ცენტრის“ ინფორმაციით, თეთრიწყაროს რაიონულმა სასამართლომ მათი საჩივრის საფუძველზე „ოცნების“ მერობის კანდიდატი, გიორგი წიკლაური და №26 საარჩევნო ოლქის №23 საარჩევნო უბნის თავმჯდომარე 2.000 – 2.000 ლარით დააჯარიმა.

სასამართლომ ასევე, სამართალდამრღვევად ცნო ამავე საუბნო საარჩევნო კომისიის 5 წევრი და მათ მიმართ ადმინისტრაციულ სახდელად გაფრთხილება გამოიყენა.

საქმე სკოლის მასწავლებლებისა და სკოლის ჩართულობით აგიტაციას ეხებოდა.

„1 სექტემბერს, თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ქოსალარში მერობის კანდიდატმა გიორგი წიკლაურმა, სოფელ ქოსალარის სკოლის დირექტორთან და ამავე სკოლის მასწავლებლებთან ერთად, რომლებიც ასევე არიან საუბნო საარჩევნო კომისიის თავჯდომარე და საუბნო კომისიის წევრები, განახორციელა სოფელ ქოსალარის ამომრჩეველთან წინასაარჩევნო აგიტაცია, რაც აკრძალულ ქმედებას წარმოადგენს საარჩევნო კოდექსის 45-ე და 48-ე მუხლების შესაბამისად.

ფაქტის მტკიცებულება, წინასაარჩევნო მონიტორინგის ფარგლებში, მოპოვებულ იქნა გიორგი წიკლაურის ოფიციალური ფეისბუკ გვერდიდან, სადაც კანდიდატმა თავის გვერდზე თვითონვე გააზიარა წინასაარჩევნო აგიტაციის შეხვედრის ამსახველი ფოტომასალა, აღნიშნულ ფოტომასალაზე ასახული იყო მერობის კანდიდატი, პარტია „ქართული ოცნების“ დეპუტატი გოდერძი ჩანქსელიანი და № 23 საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე და წევრები“ – წერს არასამთავრობო.

სასამართლომდე „ადამიანის უფლებათა ცენტრმა“ აღნიშნული ფაქტი საოლქო საარჩევნო კომისიაში გაასაჩივრა, თუმცა დამკვირვებლის მოთხოვნა საოლქომ არ დააკმაყოფილა, რადგან კომისიის თავმჯდომარემ და წევრებმა განხილვისას განმარტეს, რომ სოფელში გასვენებაში იყვნენ, საიდანაც შემთხვევით მოხვდნენ ადამიანების შეკრებაზე, შემდეგ კი აღმოაჩინეს, რომ წინასაარჩევნო შეკრებაზე ყოფილან.

„დამეშუქრა, რომ 2 კვირის ჩვილს მომიკლავდა“

რას ყვება ბრუკის მკვლელობაში ბრალდებულის რძალი

ავსტრალიელი პედაგოგის შანაი ბრუკის მკვლელობის გამოძიების მასალებში საუბარია დღემდე უცნობ დეტალებზე.

საქმის მასალებით ცნობილი ხდება, რომ მკვლელობაში რაფაელ მურსაკულოვის მონაწილეობის შესახებ ცნობილი გახდა მისი რძლისთვის – სარა მურსაკულოვასთვის, რომელიც პოლიციაში აპირებდა წასვლას, თუმცა, ბრალდებული მას ახალშობილი შვილის მოკვლით დაემუქრა.

– რაფაელს ვუთხარი, რომ აუცილებლად წავიდოდი და განვაცხადებდი პოლიციაში, ვინაიდან ფაქტის დამალვა არ შემეძლო. რაზეც მითხრა, რომ თუ პოლიციაში განვაცხადებდი მის მონაყოლს, მაშინ მომკლავდა და თუ ჩემს მოკვლას ვერ მოახერხებდა, მაშინ მომიკლავდა ჩემი ორი კვირის შვილს და როდესაც პოლიციიდან დავბრუნდებოდი, მკვდარ შვილს ჩავეხუტებოდი. მუქარის ძალიან შემეშინდა. ჩემმა დედამთილმა, რომელმაც მოისმინა რაფაელის მუქარა, მითხრა, რომ არ წავსულიყავი პოლიციაში, ვინაიდან შესაძლებელი იყო მართლა მოეკლა რაფაელს ჩემი შვილი, – ნათქვამია ჩვენებაში, რომელსაც „რუსთავი 2“ ავრცელებს.

წინასწარ პატიმრობაში მყოფი რაფაელ მურსაკულოვი დუმილის უფლებას იყენებს.

საქართველოს პროკურატურამ ავსტრალიის მოქალაქე შანაი ბრუკი ედუარდსის დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი განზრახ მკვლელობის ფაქტზე რაფაელ მურსაკულოვს ბრალდება წარუდგინა.

ბათუმსა და ხელვაჩაურში 2 უცხოელი დააკავეს

შსს ინფორმაციით, ნარკოდანაშაულის ბრალდებით უცხო ქვეყნის ორი მოქალაქე – 1991 წელს დაბადებული უ.ჰ და 1975 წელს დაბადებული მ.ი. დააკავეს. ერთი პირი ბათუმში, მეორე კი ხელვაჩაურში აიყვანეს.

„ქობულეთის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა უ.ჰ. დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვისა და გასაღების ბრალდებით ბათუმში დააკავეს. დანაშაული 14 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებული სისტემატურად ახდენდა ნარკოტიკების უკანონო რეალიზაციას.

სამართალდამცველებმა, მოსამართლის განჩინების საფუძველზე, ბრალდებულისგან ნარკოტიკული საშუალების საკონტროლო შესყიდვა და აღნიშნული შესყიდვის ფარული აუდიო-ვიდეოჩაწერა განახორციელეს.

პოლიციამ ბათუმში, ბრალდებულის პირადი ჩხრეკის შედეგად, ნივთმტკიცების სახით ამოიღო ნარკოტიკის უკანონო რეალიზაციის შედეგად მიღებული ფული – 5000 ლარი. სამართალდამცველებმა ასევე ნივთმტკიცებად ამოიღეს დაკავებულის მიერ უკანონოდ გაყიდული დიდი ოდენობით ნარკოტიკული ნივთიერება „კოკაინი“.

ბრალდებული მ. ი. კი იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალსოფელში დააკავეს.

სამართალდამცველებმა დაკავებულის პირადი ჩხრეკისას, ნივთმტკიცების სახით ნარკოტიკული საშუალება „ბუპრენორფინის“ შემცველი „სუბოქსინის“ 147 აბი და ფული ამოიღეს“.

დანაშაული 8-დან 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

თამარ კეკენაძეს „სტრატეგია აღმაშენებლის“ კოორდინატორმა მობილური მოპარა

„სტრატეგია აღმაშენებლის“ ოფისში 28 სექტემბერს საპატრულო პოლიცია გამოიძახეს. სამართალდამცველები თბილისის მერობის კანდიდატის, თამარ კეკენაძის კუთვნილ მობილურ ტელეფონს ეძებდნენ. ერთ-ერთი შეხვედრის დასრულების შემდეგ პარტიის წარმომადგენლები დაბრუნდნენ ოფისში და აღმოაჩინეს, რომ მოპარული იყო თამარ კეკენაძის კუთვნილი მობილური ტელეფონი.

პოლიციამ დააკავა „სტრატეგია აღმაშენებლის“ კოორდინატორი, წარსულში ქურდობისათვის ნასამართლევი ლ.გ, რომლის პირადი ჩხრეკისას ამოღებულია მოპარული მობილური ტელეფონი და პლასტიკური ბარათი.

„ცოლს ტელეფონი არ დავუბრუნე და ამაზე მიჩივლა“

გიორგი გურგულიას და ლარისა გიგაურის სასამართლო შეჩერებულია

ერთი წლის წინ, სექტემბერში, გიორგი გურგულია სერიოზულ სკანდალში გაეხვა. მსახიობს ყოფი-ლი მეუღლე ლარისა გიგაური ძალადობაში სდებდა ბრალს. გურგულია დაკავებული არ ყოფილა, სასამართლო პროცესიდან კი გიორგი გათავისუფლდა. იმჟამად მსახიობი ამბობდა, რომ არათუ ცოლ-ზე, არამედ კინოშიც კი არ უძალადია ქალზე. ლარისა გიგაური მსახიობის მეოთხე ცოლი გახლდათ. მსახიობს მასთან დაშორების შემდეგ აღარ უქორწინია.

„ამბები“ მსახიობს ესაუბრა.

– ერთი წლის წინ, კანონთან პრობლემა შეგექმნათ, ყოფილმა მეუღლემ გიჩივლათ, რა ეტაპ-ზეა ეს საქმე?

– გაჩერებულია,... თუ გახსოვთ, წინასაარჩევნო პერიოდი იყო მაშინაც და რომ არ მეაქტიურა, გამაჩე-რეს. საშიშროება იყო მაშინაც, რომ მესამე ძალა არ გამოჩენილიყო, ჩამომაცილეს. „ნაციონალი“ მეზო-ბელი იყო დამუქრებული, რომ დამაკავებდნენ, არადა, რეალურად არაფერი სერიოზული არ ხდებო-და. ადრეც დარეკა ჩემმა ყოფილმა მეუღლემ პოლიციაში, მოვიდნენ, ნახეს, რომ ბავშვი მეხუტებოდა, რომ მეჩხუბა, ბავშვი დათ, ერთმა მოწმემ კი დაადასტურა ის, რაც თავისი თვალით ნახა, რომ მასთან სახლში მენაბდე სისხლიანი ტანსაცმლით მივიდა და ეს ერთად გარეცხეს, – განაცხადა მეგრელიშვილმა.

გიორგი მენაბდის ადვოკატ დავით დადიანის თქმით, სისხლი, რომელიც ბრალდებულის მაისურსა და შარვალზე იყო, თავად მენაბდეს ეკუთვნოდა.

როგორც დავით დადიანი განმარტავს, გიორგი მენაბდე ზურგის არეში იყო დაჭრილი, რის გამოც მისი ტანსაცმელი სისხლიანი იყო.

– მოწმეები ადასტურებენ, რომ გიორგი მენაბდეს ზურგზე დაზიანება ჰქონდა. აქედან გამომდინარე, სისხლი ჩამოდენილი იყო ზურგიდან ქვევით, რის გამოც დასვრილი იყო როგორც მაისური, ასევე შარვალი. ეს იყო გიორგი მენაბდის სისხლი. ექსპერტიზის დასკვნებით რა სისხლია და საიდანაა ამოღებული, ეს ცალკე საკითხია.

როგორც გამოკითხვიდან ჩანს, სისხლი, რომელიც მაისურსა და შარვალზე იყო, გიორგი მენაბდეს ეკუთვნოდა. ექსპერტიზა ჯერ არ გამოგვიკვლევია, მოვა ექსპერტი და ამის შემდეგ გახდება მათი აზრი ცნობილი, შესაბამისად, ამ მტკიცებულებებს შემდეგ შევაჯამებთ. ეს მაისური გამოძიებაში თვითონ გიორგი მენაბდემ წარადგინა, გარეცხილი, მაგრამ გარეცხილზეც შეიძლება ამოიღო სისხლის კვალი, ეს პრობლემას არ წარმოადგენს, – განაცხადა დადიანმა.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ დავით სარალიძის მკვლელობის ფაქტზე გიორგი მენაბდე 15 აპრილს დააკავა. უწყების ინფორმაციით, მიმდინარე გამოძიების ფარგლებში დადგინდა, რომ დაკავებულმა გიორგი მენაბდემ გიორგი ჯანაშიასთან და მიხეილ კალანდიასთან ერთად, ჯგუფურად, თან ნაქონი ბასრი საგნით, მოკვლის განზრახვით, არასრულწლოვან დავით სარალიძეს დაზიანებები მიაყენა.

2017 წლის პირველ დეკემბერს, ხორავას ქუჩაზე მომხდარი მკვლელობის საქმეზე, რომელსაც ორი მოზარდის, დავით სარალიძისა და ლევან დადუნაშვილის სიცოცხლე ემსხვერპლა, მსჯავრდებულები იყვნენ – გიორგი ჯანაშია, გუგა ბარბაქაძე და მიხეილ კალანდია. აღსანიშნავია, რომ დავით სარალიძის განზრახ ჯგუფურად მკვლელობაში მსჯავრდებულმა გიორგი ჯანაშიამ პენიტენციური დაწესებულება უკვე დატოვა. ის ე.წ. უდოს კომისიამ გაათავისუფლა. მას საპროცესო შეთანხმების საფუძველზე 4 წლით თავისუფლების აღკვეთა ჰქონდა შეფარდებული.

რაც შეეხება მიხეილ კალანდიას, მას სამივე ინსტანციის სასამართლოს მიერ პატიმრობა 11 წლითა და 3 თვის ვადით აქვს მისჯილი.

გურიაში 63 წლის ქალი ხანძარს ემსხვერპლა

ოზურგეთში, სოფელ გურიანთაში საცხოვრებელი სახლი დაიწვა. ხანძარს 63 წლის ქალის სიცოცხლე ემსხვერპლა.

–სკამიც არ დარჩა, ისეა დამწვარი ყველაფერი. ასეთი საშინელება არ გვინახავს. ცეცხლი ისე მძვინვარებდა, წამებში დაიწვა ყველაფერი. შეძრწუნებულია მთელი სოფელი, – უთხრა თვითმხილველმა „გურია ნიუსს“.

ქალის ცხედარი სახლის პირველ სართულზე იპოვეს. ადგილზე მობილიზებული იყო სახანძრო-სამაშველო სამსახური.

ტრანსგენდერის ცემისთვის გორში ნაცმოძრაობის დეპუტატობის კანდიდატის შვილი დააკავეს

ტრანსგენდერი ქალის ცემის ფაქტზე პოლიციამ გორში 23 წლის ახალგაზრდა მამაკაცი დააკავა. გამოძიების ინფორმაციით, ინციდენტი თბილისში მოხდა. სახის არეში მიყენებული დაზიანებების გამო საჭირო გახდა ტრანსგენდერი ქალის საავადმყოფოში გადაყვანა.

დაკავებული ნაციონალური მოძრაობის ადგილობრივი კანდიდატის, ლევან ბიძინაშვილის შვილია. მომხდარს კანდიდატი პოლიტიკური მოტივებით ხსნის. სისხლის სამართლის საქმე ძალადობის მუხლით მიმდინარეობს. დაკავებულს ერთი წლით პატიმრობა ემუქრება.

– მეგობრისგან გავიგე, რომ გაგვაჩერესო, გვარები გვკითხეს და გვარების მიხედვით მერე, ჩემს შვილს, ლუკას უთხრეს, რომ დაბრძანდი მანქანაში, რაღაც საქმეები გვაქვს შენთან გასარკვევიო. ვერ გაგვიგია, ჯერ სად ჰყავთ დაკავებული და მიზეზი საერთოდ არ ვიცით. მე პოლიტიკურ მიზეზს ვუკავშირებ, სხვა არაფერი არ შეიძლია ვთქვა, – ამბობს სოფელ კარბის მაჟორიტარობის კანდიდატი ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან ლევან ბიძინაშვილი.

სომხეთის მოქალაქემ 2.700 დოლარის ყალბი აქციზური მარკები გაასაღა

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა, გატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, დიდი ოდენობით ყალბი აქციზური მარკების გასაღების ფაქტზე, სომხეთის მოქალაქე დააკავეს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა ქ. თბილისში, 2.700 აშშ დოლარის სანაცვლოდ გაასაღა ალკოჰოლური სასმელის მარკირებისთვის განკუთვნილი 3.051 ცალი ყალბი აქციზური მარკა, რომლის დროსაც მოხდა მისი დაკავება. გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-2001 მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, რაც სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 4-დან 6 წლამდე ვადით.

ბათუმში მანქანა ტრაილერს შეეჯახა

2 ადამიანი დაიღუპა

28 სექტემბერს ბათუმში, ბარცხანის ხიდთან მომხდარ უმძიმეს ავარიას 2 ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა. მანქანაში მსხდომი 2 პირი კი მძიმე დაზიანებებით ბათუმის რეფერალურ საავადმყოფოშია გადაყვანილი.

დაშავებულთაგან ერთის მდგომარეობა სტაბილურია. მეორე დაშავებული, 17 წლის მოზარდი კი რეანიმაციაში იმყოფება მართვით სუნთქვაზე, მისი მდგომარეობა მძიმეა. მსუბუქი ავტომობილი საპირისპირო გზაზე მომავალ ტრაილერს შეეჯახა. ადგილზე ექსპერტ-კრიმინალისტები იმყოფებოდნენ, რომლებმაც საგამოძიებო მოქმედებები ჩაატარეს.

გერმანიაში მწვანეებმა და თავისუფალმა დემოკრატებმა კოალიციაზე მოლაპარაკება დაიწყეს

გერმანიის „მწვანეთა პარტიისა“ და „თავისუფალი დემოკრატების“ ლიდერებმა კოალიციური მთავრობის შექმნასთან დაკავშირებული დიალოგის დაწყების წინ ორმხრივი მოლაპარაკებები გამართეს.

შეხვედრის დასრულების შემდეგ, „თავისუფალი დემოკრატების“ ლიდერმა ქრისტიან ლინდნერმა ინსტაგრამში ფოტო გამოაქვეყნა, სადაც ის და პარტიის გენერალური მდივანი ვოლკერ ვისინგი „მწვანეების“ ლიდერებთან, ანალენა ბერბოკსა და რობერტ ჰაბეკთან ერთად არიან აღბეჭდილები.

„ახალი მთავრობის ძიებაში ვცდილობთ საერთო ენისა და ხიდის გამონახვას ჩვენს შორის არსებულ განსხვავებებთან დაკავშირებით და გარკვეულწილად ვახერხებთ კიდეც. ამაღელვებელი მომენტია“ – წერს „თავისუფალი დემოკრატების“ ლიდერი.

გერმანიაში ჩატარებულ საპარლამენტო არჩევნებში პირველ და მეორე ადგილზე გასული ძალების, „სოციალ-დემოკრატების“ და „ქრისტიან-დემოკრატიული კავშირის“ და „ქრისტიან-სოციალური კავშირის“ ბლოკის კანცლერობის კანდიდატები აცხადებენ, რომ კოალიციური მთავრობის შექმნასთან დაკავშირებით მოლაპარაკებების გამართვას „მწვანეთა პარტიასა“ და „თავისუფალ დემოკრატებთან“ გეგმავენ.

– ამომრჩეველმა ძალიან მკაფიოდ ისაუბრა: მათ გააძლიერეს სამი პარტია – „სოციალ-დემოკრატები“, „მწვანეები“ და „თავისუფალი დემოკრატები“, ამიტომ ეს არის ამ ქვეყნის მოქალაქეების მიერ მონიჭებული მკაფიო მანდატი: მომავალი მთავრობა ამ სამმა უნდა ჩამოაყალიბოს, – აღნიშნა გერმანიის „სოციალ-დემოკრატების“ კანცლერობის კანდიდატმა ოლაფ შოლცმა.

„ქრისტიან-დემოკრატიული კავშირის“ და „ქრისტიან-სოციალური კავშირის“ ბლოკის კანცლერობის კანდიდატმა არმინ ლაშეტმა კი განაცხადა, რომ კოალიციის ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით „მწვანეებთან“ და „თავისუფალ დემოკრატებთან“ მოლაპარაკებების გამართვას უახლოეს დღეებში გეგმავს.

საბერძნეთი საქართველოსთვის დაირაზმა

9 ოქტომბერს საქართველოს ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატის საკვალიფიკაციო მატჩში, ბათუმში საბერძნეთის ეროვნულ გუნდს დაუპირისპირდება, ხოლო 12 ოქტომბერს კოსოვოს ესტუმრება.

ჩვენი გუნდის მთავარი მწვრთნელი ვილიო სანიოლი შემადგენლობას, სავარაუდოდ, დღეს გამოაქვეყნებს.

სამაგიეროდ, ბერძენთა ნიდერლანდელმა მთავარმა მწვრთნელმა, ჯონი ვანტ სხიპმა ის ფეხბურთელები ჩამოწერა, რომლებიც ჯერ საქართველოს ეწვევიან, ხოლო შემდეგ სტოკჰოლმში შვედებთან ითამაშებენ.

მეკარეები: ოდეისეას ვლახოდიმოსი (ბენფიკა, პორტუგალია), ალექსანდროს პასხალაკისი (პაოკი), სოკრატის დიუდისი (პანათინაიკოსი);

მცველები: პანტელის ხაციდიაკოსი (ალკმაარი, ნიდერლანდები), კონსტანტინოს მავროპანოსი (შტუტგარტი, გერმანია), კოსტას სტაფილიდისი (ბოხუმი, გერმანია), დიმიტრის იანულისი (ნორვიჩი, ინგლისი), კოსტას ციმიკასი (ლივერპული, ინგლისი), ლეონარდო კურტისი (ფორტუნა, გერმანია), მანოლის სალიაკასი (იანინა), კირიაკოს პაპადოპულოსი (ატრომიტოსი), გიორგიოს ცაველასი (აეკი);

ნახევარმცველები: კარლოს ზეკა (კოპენჰაგენი, დანია), მანოლის სიოპისი (ტრაბზონი, თურქეთი), ხრისტოს ციოლისი (ნორვიჩი, ინგლისი), დიმიტრის პელკასი (ფენერბაჰჩე, თურქეთი), ტანასის ანდრუცოსი, ანდრეას ბუხალაკისი, გიორგიოს მასურასი (ყველა ოლიმპიაკოსი), პეტროს მანტალოსი (აეკი), სოტირის ალექსანდროპულოსი (პანათინაიკოსი);

თავდამსხმელები: ტასოს ბაკასეტასი (ტრაბზონსი, თურქეთი), დიმიტრის ლიმნიოსი (ტვენტე, ნიდერლანდები), ვანგელის პავლიდისი (ალკმაარი, ნიდერლანდები), ტასოს დუვიკასი (უტრეხტი, ნიდერლანდები), მარიოს ვრუსაი (ოლიმპიაკოსი).

შეგახსენებთ, რომ საქართველოს ნაკრებს 2022 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე ჯერ მხოლოდ ერთი ქულა აქვს მოპოვებული და სწორედ საბერძნეთის ნაკრებთან, ვისთანაც სალონიკში 1:1 ითამაშა. იქ ანგარიში ბერძნებმა ოთარ კაკაბაძის ავტოგოლით გახსნეს, რასაც ხვიჩა კვარაცხელიამ უპასუხა.

მანუჩარ მარკოიშვილი მონაკოში იმუშავებს

საქართველოს საკალათბურთო ნაკრების მთავარი მწვრთნელის, ილიას ზუროსის ასისტენტი მანუჩარ მარკოიშვილი იგივე თანამდებობაზე ფრანგულ მონაკოში იმუშავებს.

34 წლის მარკოიშვილი, ნაკრების გარდა, ბოლოს საქართველოს სუპერლიგაში ტიტების მთავარი მწვრთნელი იყო.

რა გუნდია მონაკო: შარშანდელ სეზონში ევროქაფის ფინალში რუსულ უნიქსს აჯობა და პირველი საერთაშორისო ტიტული მოიპოვა. ფრანგული გუნდის მთავარი მწვრთნელი მონტენეგროელი ზვეზდან მიტროვიჩია, რომელიც გუნდში 2020 წლის დასაწყისში მივიდა.

მანუჩარ მარკოიშვილი:

– კარიერის დასრულების შემდეგ ყოველთვის მინდოდა კალათბურთში დარჩენა. მწვრთნელობის იდეა ერთ ღამეში არ მომსვლია, ამაზე დიდხანს ვფიქრობდი. მიყვარს ეს თამაში და ამით ვცხოვრობ. საქართველოს ნაკრებში ილიას ზუროსის ასისტენტი ვიყავი, მისგან ბევრი რამ ვისწავლე. მონაკოში მისვლა ჩემთვის უნიკალური შანსია. მთავარ მწვრთნელთან კარგი ურთიერთობა მაქვს, სეზონისწინა პერიოდი გუნდთან ერთად გავატარე და უკვე ბევრი ადამიანი გავიცანი.

მარკოიშვილი ახალ სეზონს მონაკოსთან ერთად ევროლიგაში დაიწყებს.

ბითაძეს კარგ სეზონს უწინასწარმეტყველებენ

ერთ-ერთმა სპორტულმა გამოცემამ, სტატია ისეთ კალათბურთელებზე გამოაქვეყნა, რომლებიც ნაციონალური საკალათბურთო ასოციაციის (ნბა) 2021-22 წლების სეზონში გაიბრწყინებენ.

გამოცემამ თითოეული გუნდიდან ერთი მოთამაშე გამოარჩია. საგულისხმოა, რომ ინდიანა პეისერსის რიგებში ასეთად გოგა ბითაძე წარმოადგინეს.

ინდიანასს შემადგენლობაში 2 შესანიშნავი კალათბურთელია, რომლებიც დაფარების ჭრილში საუკეთესონი არიან – მაილს ტერნერი და გოგა ბითაძე. ტერნერის შესახებ ყველამ ყველაფერი იცის, ბითაძეს კი მაყურებელი გაცილებით უკეთესად ახალი სეზონის შემდეგ გაიცნობს და დაიმახსოვრებს.

ბითაძე ინდიანაპოლისელებმა 2019 წლის დრაფტზე მე-18 პიკად აირჩიეს, ბითაძის უმთავრესი როლი მაილს ტერნერის ღირსეული შემცვლელობა გახლდათ.

თუ 22 წლის ქართველი 3-ქულიანების სტატისტიკურ მაჩვენებელს კიდევ უფრო გაუმჯობესებს (პირველი სეზონი 19.0%; მეორე სეზონი 25.3%;), მისი ადგილი ძირითად შემადგენლობაშიც მოიძებნება. ბითაძის პოტენციალის სრული გამოვლინებისათვის მისთვის უფრო მეტი სათამაშო დროის მიცემაა აუცილებელი.

შეგახსენებთ, რომ ბითაძისთვის 2021-22 წლების სეზონი ნბა-ში რიგით მე-3 იქნება.

მოჭადრაკე ქალთა ნაკრები ფლეი ოფში გავიდა

ესპანეთის ქალაქ სიტჟესში მიმდინარე მოჭადრაკე ქალთა მსოფლიოს 2021 წლის გუნდური ჩემპიონატში საქართველოს ნაკრებმა დებულებით კიდევ 2 მატჩი გამართა და პირველი დღის იდენტურად ითამაშა. ჩვენებმა ჯერ გერმანია გაანადგურეს – 3.5:0.5, შემდეგ კი ქულა დაკარგეს პოლონეთის ნაკრებთან – 2:2.

გერმანელებთან ნანა ძაგნიძემ შავებით ელიზაბეთ პაეტცი დაამარცხა, ნინო ბაციაშვილმა თეთრებით ეოზეფინ ჰაინემანს მოუგო, ხოლო ლელა ჯავახიშვილმა ასევე თეთრებით – მელანიე ლუბეს. მერი არაბიძემ კი შავებით ყაიმით დაასრულა პარტია იანა შნაიდერთან.

პოლონელებთან ძაგნიძე შავებით იოლანტა ზავდცკას დაუზავდა, ბაციაშვილი კი, თეთრებით მონიკა სოცკოს. ჯავახიშვილმა შავებით კლაუდია კულონთან წააგო, ერთადერთი მოგება კი ჩვენებს სალომე მელიამ მოუტანა, რომელმაც თეთრებით ანა კუბიჩკას აჯობა. 4 ტურის შემდეგ საქართველოს ნაკრები ჯგუფს 6 ქულით ლიდერობს და ფლეი ოფში გასვლა განაღდებული აქვს.

ფლეი ოფში არიან ასევე ყაზახეთისა და უკრაინის გუნდებიც (5-5), ხოლო გერმანია, ამერიკა (3-3) და პოლონეთი (2) მე-4 საგზურის მფლობელის ვინაობას გაარკვევენ.

ა ჯგუფს 8 ქულით რუსეთი ლიდერობს, 5-5 ქულა აქვთ ინდოეთისა და სომხეთის ნაკრებებს. სამივე გუნდი ფლეი ოფშია გასული. ხოლო აზერბაიჯანის, ესპანეთისა და საფრანგეთის ნაკრებები 2-2 ქულით მეოთხე გამსვლელი ადგილისთვის ბოლო ტურში იბრძოლებენ.

სომხეთში თავდაცვის ყოფილი მინისტრი დავით ტონოიანი დააკავეს

სომხეთის ეროვნული უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლებმა თავდაცვის ყოფილი მინისტრი დავით ტონოიანი დააკავეს.

ყოფილი მინისტრის ბინაში ჩხრეკა ჩაატარეს.

ამასთან, სამართალდამცავებმა ჩხრეკა განახორციელეს სამხედრო ავიაციის ყოფილი უფროსის, ავეტიკ მურადიანის და შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსის მოადგილის, სტეპან გალსტიანის ბინებშიც.

აღნიშნული ქმედებები, სავარაუდოდ, უკავშირდება იარაღის შესყიდვასთან დაკავშირებით აღძრულ სისხლის სამართლის საქმეს.

ბასილაშვილი და ბოლქვაძე ამერიკაში აგებენ

ნიკოლოზ ბასილაშვილი სან დიეგოს საჩოგბურთო ტურნირის (საპრიზო ფონდი 661.800 დოლარი) პირველივე წრეში იტალიელი ლორენცო სონეგოსთან 3:6; 4:6 დამარცხდა.

ჩვენებური აშკარად არ იყო თამაშის იშტაზე, ხოლო მეტოქემ პრაგმატულად ითამაშა და მარტივად მოიგო.

პირველი სეტი თანაბარი ბრძოლით დაიწყო, მაგრამ მერვე გეიმში ნიკამ საკუთარი ჩაწოდება დათმო და სეტიც წააგო.

მეორე სეტში სონეგომ საქმე არ გადადო და ბასილაშვილს პირველივე ჩაწოდება აართვა. შემდეგ საქმის გამარჯვებამდე მიყვანა არ გასჭირვებია.

ქართველი ჩოგბურთელი მარიამ ბოლქვაძე კი, აშშ-ს ქალაქ ჩიკაგოში მიმდინარე საერთაშორისო ტურნირის (საპრიზო ფონდი 565.530 დოლარი) ძირითად ბადეში ვერ გავიდა.

კვალიფიკაციაში მე-13 ნომრად განთესილმა ბოლქვაძემ გადამწყვეტ რაუნდში რუს ანა კალინსკაიასთან 2:6, 1:6 წააგო.

თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა შემადგენლობა ცნობილია



ნორვეგიის დედაქალაქი ოსლო 2-10 ოქტომბერს მოჭიდავეთა მსოფლიოს ჩემპიონატს უმასპინძლებს. საქართველოს თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა გიორგი იანტბელიძემ მსოფლიოს ჩემპიონატზე წასაყვანი შემადგენლობა დაასახელა.

შემადგენლობა თითქმის უცვლელია – მწვრთნელი 10 წონიდან 8-ში ისევ ძველ კადრებს დაეყრდნო. სიახლე მხოლოდ ორ წონაშია: 57 კილოგრამში გოგა ძიგუა იჭიდავებს, 65-ში კი – ედემ ბოლქვაძე. 65 კილოგრამში ახალი ლიდერის საჭიროება მას შემდეგ დადგა, რაც ოლიმპიურმა, მსოფლიოსა და ევროპის სამგზის ჩემპიონმა ვლადიმერ ხინჩეგაშვილმა კარიერის დასრულების შესახებ გამოაცხადა, სპორტიდან პოლიტიკაში გადაინაცვლა და გორის მერობისთვის იბრძვის. გუნდში მსოფლიოს 2 მოქმედი ჩემპიონია – ბექა ლომთაძე (61) და გენო პეტრიაშვილი (125). საქართველოს ნაკრების შემადგენლობა: გოგა ძიგუა (57), ბექა ლომთაძე (61), ედემი ბოლქვაძე (65), ზურაბ იაკობიშვილი (70), ავთანდილ კენჭაძე (74), ნიკა კენჭაძე (79), სანდრო ამინაშვილი (86), ირაკლი მწითური (92), ელიზბარ ოდიკაძე (97), გენო პეტრიაშვილი (125).

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

იაპონიის მმართველმა პარტიამ ლიდერად და პრემიერის მემკვიდრედ ფუმიო კიშიდა აირჩია

იაპონიის მმართველი „ლიბერალ-დემოკრატიული“ პარტიის ლიდერის გამოსავლენად ჩატარებულ არჩევნებში ყოფილმა საგარეო საქმეთა მინისტრმა, ფუმიო კიშიდამ, გაიმარჯვა.

კენჭისყრის მეორე ტურის შედეგად კიშიდამ 257 ხმა მიიღო, მისმა კონკურენტმა, ვაქცინაციის საკითხებში მინისტრმა ტორო კონომ კი – 170.

მმართველი პარტიის ლიდერი უდავოდ გახდება ქვეყნის მომავალი პრემიერ-მინისტრი და იოშიჰიდე სუგას ჩაანაცვლებს.

ახალ პრემიერს პარლამენტი უახლოეს დღეებში დაამტკიცებს.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

კალეიდოსკოპი

წყვილმა ბავშვებზე უარი თქვა და მიზნად ძაღლებზე ზრუნვა დაისახა

წყვილმა შოტლანდიის ჩრდილოეთ ლანკაშირიდან გადაწყვიტა, უარი ეთქვათ ბავშვების ყოლაზე და 20 ათასი ფუნტი სტერლინგი თავიანთი სამი ძაღლის მოვლა– პატრონობაზე დახარჯეს.

35 წლის კლერ კელი ჯონსტონმა და 38 წლის სტიუარტ ჯონსტონმა განაცხადეს, რომ ცდილობენ საუკეთესო მშობლობა გაუწიონ თავიანთ ორ პომერანულ შპიცს, დათუნიას და კექსიკს და ასევე ჩიხუახუას სახელად პოპკორნს. შოტლანდიური წყვილი ყოველ კვირა დაახლოვებით 60 ფუნტ სტერლინგს ხარჯავს ძაღლების ჩასაცმელებზე.

– მათ იმდენი ჩასაცმელი აქვთ, რომ მათთვის კარადის დამზადებაც კი დაგვჭირდა. მათთვის ყოველ კვირა ახალ ჩასაცმელს ვყიდულობთ, რადგან თავის შეკავებას ვერ ვახერხებთ, – განაცხადა კლერმა.

ყოველ დილით შოტლანდიელი წყვილი ძაღლებს ვარცხნის, აცმევს და ეტლით სასეირნოდ გამოჰყავთ. დილის გასეირნების შემდეგ ძაღლები სადილობენ. ისინი უპირატესობას ბეკონს და სოსისებს ანიჭებენ. წყვილს შინაური ცხოველები ყოველთვის მიჰყავთ კაფეში, ხოლო როდესაც სამუშაოზე მიდიან, ძაღლებთან ძიძა რჩება.

გირაოთი განთავისუფლებულმა დამნაშავემ ქათმის ჩხირები მოიპარა, ჩაეძინა და ჩავარდა



აშშ-ში გირაოთი პატიმრობიდან განთავისუფლებულმა დამნაშავემ საჭმელი და ტკბილეული მოიპარა, იქვე ჩაეძინა და პოლიციის ხელში ამოჰყო თავი.

37 წლის მეთიუ უილიამსონი პირველად 17 სექტემბერს სხვის ავტომობილში შეღწევის და სხვისი ქონების ქურდობის ბრალდებით დააკავეს. თუმცა მან გირაოს გადახდა მოახერხა და პატიმრობიდან განთავისუფლდა.

– განთავისუფლებიდან ორ საათზე მცირე დროში უილიამსონმა გაიტაცა მანქანა და ის სპორტკომპლექსის ტერიტორიაზე გადამალა, – განაცხადა ალაბამას შტატის ქალაქ პლეზანტ-გროუზის პოლიციის დეპარტამენტის წარმომადგენელმა. 22 სექტემბრის საღამოს უილიამსონმა სპორტული არენის სავაჭრო ჯიხურიდან მოიპარა ქათმის ჩხირები, კარტოფილი და ტკბილეული. დილით კი მას პოლიციამ მოპარულ საკვებზე ჩაძინებულს მიაგნო. გარდა ამისა, მას თან ჰქონდა ნარკოტიკები.

მეორე დღეს უილიამსონმა ავტომობილის გატაცება და პროდუქტების ქურდობა აღიარა და ის ისევ ჯეფერსონის ოლქის ციხეში დააბრუნეს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

სამგლოვიარო განცხადებები

ჩვენ ლამაზი მეგობარი გვყავდა...

მეგობრის სიკვდილი საკუთარი სულის ნაწილის სიკვდილს ჰგავსო, – გუსტავ ფლობერი წერდა...

ჩვენს უნივერსიტეტსაც მოუკვდა თავისი სულის სამი დიდი ნაწილი ამ რამდენიმე დღეში...

კაფკასი არ იყოს, იქნებ, ცხოვრების აზრი მართლა იმაშია, რომ ოდესმე ის წყდება...

მაგრამ როგორი ძნელია ერთი კვირის რადიუსში კიდევ ერთი მეგობრის, კიდევ ერთი კოლეგის სიკვდილს შეხვდე...

შეხვდე და იგრძნო... იგრძნო და გეტკინოს...

ეკა ჩიკაშუა, ჩვენი უნივერსიტეტის ტექნოლოგიებისა და ინოვაციების სამსახურის უფროსი აღარაა.

აღარაა კიდევ ერთი დიდი სიკეთე დედამიწაზე...

აღარაა კიდევ ერთი არაჩვეულებრივი დედა, მეუღლე, მეგობარი, შვილი, პროფესიონალი...

დიდხანს იბრძოდა...

დიდხანს ცადა, დედამიწაზე დარჩენილიყო... მაგრამ... ყველაფერი დასრულდა...

თუმცა, ვინ იცის, რა სრულდება სიკვდილით და რა იწყება მის მიღმა?

თუმცა, ვინ იცის, სად ჯობს და რატომ?

ორი მცირეწლოვანი შვილის დედისთვის დედამიწაზე დარჩენა სჯობდა, ცხადია...

ამიტომაც იბრძოდა ასეთი თავგანწირვით სიცოცხლისთვის, ალბათ...

ეკა ჩიკაშუამ დაასრულა „ადამიანად ყოფნის ტკბილი სევდა“...

ჩვენ „ლამაზი მეგობარი გვყავდა“...

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის რექტორატი, ადმინისტრაცია

პაატა გოროდინსკს

დედა გილოცავს დაბადების დღეს!

81 წლის დედა ულოცავს ერთადერთ შვილს, დაბადებულს 30 სექტემბერს. ვაი, რა მილოცვაა ეს დედისთვის. ვიღაცა ამას გაგიგებს, ვიღაცამ ჩემნაირად დაიგლახავა თავი. ყველას ერთნაირი განცდა არ აქვს... ვაი, შენს დედას, დრო 34 წელზე გაუჩერდა, არადა, 57 წელი გაიქცა.

შენ ჩემი მზე იყავი, ახლა კი სულ ღრუბლებში ვარ, ჩემთვის მზე არ არსებობს, ასევე დიდი საჩუქარი. რატომ არ შემარჩინა უფალმა შენი თავი. ვეღარ ვსუნთქავ. შენ იყავი ჩემთვის ერთადერთი იმედი და ჩემი სახელი „ვინ გავზარდე მე“... შენი სახელი ჩემი ღირსებაა. შენ ისეთ ნაბიჯს არ გადადგამდი, რომელიც შენთვის სარისკო იყო. შეიძლება ითქვას. რატომ მოხდა შენი ამბავი. ეს შენი ბრალი არ არის. ეს ჯაბას ბიჭებია, რომლებისთვისაც სულ ერთი იყო, რომელ მხარეზე იმოძრავებდნენ. მათთვის კვლა არაფერი იყო. საინტერესოა, მათი შვილები აგრძელებენ ამ საქმეს?! დღესაც იგივე მდგომარეობაა... შენ იყავი ისეთი ახალგაზრდა და გულის პატრონი, დროს რომ აჩერებდი, მაგრამ მაინც გაგექცა. ჩემი მეორე სიკვდილი იყო ლექსო ლაშქარავა, ყინული რომ დაიდო თვალზე და მაშინვე მოიშორა, ოდნავ გააღო პირი ტკივილისგან. შენ, დედი, როგორ იქნებოდი იმ მომენტში, ჯაბას „მხედრიონელებისგან“ შენთვის რომ მოდიოდი შენს გზაზე. აი ასეთები არიან ქართველები, თავი რომ მოსწონთ. მსოფლიოში ყველაზე საზიზღარი ერია, უგულო და უსულოები. ვინ გაზარდა ესენი, რომელსაც ადამიანის კვლის მეტი არაფერი აინტერესებთ. ჩემსავით გაუბედურებულმა ერთი შვილის დედამ საფლავზე ხელი რომ გადაუსვა შუბლზე, ნეტა მათმა დედებმა თუ განიცადეს ჩემსავით. რა უთხრა დედამ მათ კომბლეს, ჯოხით რომ იყვნენ, მოკალით ან დააინვალიდეთო. „მაღლა უფალი მოუვლის ყველას“ ამ ქუჩაში გაზრდილებს. დედა კი თავს იკლავდა დროსტარებით, სიგარეტით და ყავის სმით. ამათ ეზრდებათ ასეთი შვილები. შედეგი სახეზეა. ნეტა თუ დადიხართ გარეთ ან რაიმე გაქვთ სათქმელი შვილებზე. ჯოჯოხეთში იქნება თქვენი ოჯახი...

შვილო, დედაშენი ჩაკეტილია სახლში მეორე წელია. როგორც არასდროს, ისე ვუფრთხილდები სიცოცხლეს. არ მინდა თქვენთან „ზმეიკიანი მეშოკით მოვიდე“. შეგუებული ვარ, რომ დღეს თუ ხვალ მოვალ თქვენთან მხოლოდ არა ამ სიკვდილით, რაც საქართველოს ჭირს.

დედიკო, ვეღარ გიკეთებ დიდ სუფრებს. ბიჭები და ნათესავები ვერ მოდიან, ისეთი მდგომარეობაა. მე მოვდივარ მცირე პურ-მარილით და ერთი-ორი ახლობლით. ცუდი დრო დაუდგა დედაშენს სიცოცხლის ბოლო წლებში, აღარაა შენი საფლავი ხალხმრავალი. ამაზე გული მისკდება.

პაატა, ახლა გავიგე, 9 თვის შემდეგ, სერიოჟა თურმე შენთან ყოფილა. უბედურმა დედამ მარტო შეძლო ჩამოეყვანა მოსკოვიდან და მამის გულზე დაესაფლავებინა. მთელი ბავშვობა და ახალგაზრდობა ერთად გაატარეთ... ასევე, თურმე, ვასილი და ნინაც შენთანაა. როგორ ბევრი ხართ... პაატა, ეს ძალიან ძნელი გასაგები იყო... თუ არ გავჩერდი, შენთან ლაპარაკს ვერ მოვრჩები. გილოცავ და ნათელი თქვენს სულს. მიშიკოს არ ეწყინოს. მასაც ჰქონდა დაბადების დღე 2 სექტემბერს. ნათელში იყავით, სანთელი გინათებდეთ ყველას. ბევრი ხართ, აქეთ აღარავინ დარჩა.

გაუბედურებული დედა ღუღუნი ჯუღელი

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება
ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

შერიფის ზღაპარი – მოლდავურმა კლუბმა მადრიდში რეალი დაამარცხა

ჩემპიონთა ლიგის მეორე ტური დაიწყო და... ნამდვილი საოცრება შემოგვთავაზა მოლდავურმა შერიფმა. გუნდმა საკვალიფიკაციო ეტაპიდან დაიწყო, ჯგუფში შევიდა და 10 მატჩია, წაგება არ აქვს. თუ საკვალიფიკაციო ეტაპზე გუნდის თამაში სენსაციური იყო, რაღა უნდა ვთქვათ ჯგუფურ ეტაპზე, სადაც ჯერ შინ დონეცკის შახტარი (2:0) დაამარცხა, მერე კი, სტუმრად მოუგო თვით მადრიდის რეალს – 2:1.

ალბათ თავად კარლო ანჩელოტი და მისი გუნდი ვერ წარმოიდგენდა, რომ სეზონში პირველ მატჩს შერიფთან წააგებდნენ. ტირასპოლური გუნდი კი, ჯგუფს, რომელშიც რეალი, შახტარი და ინტერია, სათავეში უდგას. მეტიც, მე-3 ადგილოსანს შერიფი უკვე 5 ქულით უსწრებს.

ანგარიში 25-ე წუთზე ჯასურბეკ იახშიბოევმა გახსნა, რასაც მეორე ტაიმში ქარიმ ბენზემამ პენალტით უპასუხა. რეალი კოლოსალურ უპირატესობას ფლობდა და ყველა გამარჯვებას ელოდა. თუმცა, ასე არ ფიქრობდა სებასტიან ტილი – ლუქსემბურგელმა 89-ე წუთზე საჯარიმოს გარედან დააქუხა.

ბოლო წუთებში სტუმრებმა რეალის ზეწოლას გაუძლეს და მოლდოვური გუნდი 3 ქულით დაბრუნდა.

ამავე ჯგუფში დონეცკის შახტარი კიევში დაუხვდა მილანის ინტერს. გუნდები ერთმანეთს უგოლოდ დაშორდნენ. თავდაპირველად უკრაინელებს უფრო ჰქონდათ მომენტები, მაგრამ ბოლოს მოგება ინტერმა შეძლო.

ტურის ცენტრალური მატჩი ა ჯგუფში გიგანტების დუელი გამოდგა. პსჟ-მანჩესტერ სიტი – მსოფლიოს ორი უმდიდრესი კლუბი ერთმანეთს პარიზში დაეჯახნენ და, პირველად ისტორიაში, პარიზულმა კლუბმა მოახერხა სიტის დამარცხება.

პარიზული გუნდის მაისურით პირველი გოლი გაიტანა ლეო მესიმ. თუმცა, ეს გუნდის მეორე გოლი გამოდგა – მანამდე თავი იდრის გუეიმ გამოიჩინა.

პსჟ-ს გოლებს შორის უპირატესობას სიტი ფლობდა, მესიმ მათი „დამშვიდება“ შეძლო – 2:0.

ამავე ჯგუფში მოულოდნელი შედეგი დაფიქსირდა ლაიფციგისა და ბრიუგეს მატჩშიც. სტუმრებმა 2:1 გაიმარჯვეს და დაამტკიცეს, რომ პირველ ტურში პსჟ-სთან ფრე (1:1) შემთხვევით არ მიუღწევიათ.

ბ ჯგუფში მილანი ახლოს იყო ხანგრძლივი პაუზის შემდეგ ჩემპიონთა ლიგაში პირველი ქულების მოპოვებასთან. პიოლის გუნდმა ატლეტიკოს პირველი ტაიმი ლეაოს გოლით მოუგო. თუმცა, ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ იტალიელები 29-ე წუთიდან 10 კაცით თამაშობდნენ. საბოლოოდ, ანგარიში ვერ შეინარჩუნეს – მილანი ბოლო წუთებზე გატყდა: შეცვლაზე შესულმა ანტუან გრიზმანმა 84-ე წუთზე გაათანაბრა, გამარჯვების გოლი კი ლუის სუარესმა მსაჯის მე-7 დამატებულ წუთზე, პენალტით გაიტანა.

ამავე ჯგუფში ლივერპული პორტუს ესტუმრა და ძალიან ადვილად მოუგო – 5:1. გოლები, ვისაც არ შეეზარა, ყველამ გაიტანა.

დ ჯგუფს კი, ამსტერდამის აიაქსი ლიდერობს, რომელმაც პირველ ტურში სპორტინგის (5:1) განადგურების შემდეგ, ამჯერად შინ ბეშიქთაშს მოუგო – 2:0. ნიდერლანდურმა გუნდმა საქმე პირველივე ტაიმში მოილია. შესვენების შემდეგ ძალები დაზოგა, ბურთი აგორა და მშვიდად მიიყვანა საქმე გამარჯვებამდე.

6 ქულა აქვს დორტმუნდის ბორუსიას, რომელმაც შინ მალენის გოლით სპორტინგს 1:0 მოუგო.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

შედეგები

28 სექტემბერი

ფეხბურთი

უეფას ჩემპიონთა ლიგა

აიაქსი-ბეშიქთაში	2:0
შახტარი-ინტერი	0:0
დორტმუნდი-სპორტინგი	1:0
მილანი-ატლეტიკო	1:2
პორტუ-ლივერპული	1:5
პსჟ-სიტი	2:0
ლაიფციგი-ბრიუგე	1:2
რეალი-შერიფი	1:2

ინგლისი. ჩემპიონლიგა

კარდიფი-ვესტ ბრომვიჩი	0:4
ქარ-ბირმინგემი	2:0
მიდლსბრო-შეფილდი	2:0
პრესტონი-სტოკი	1:1
ჰადერსფილდი-ბლექბერნი	3:2
ჰალი-ბლექპული	1:1

სახალხო მკურნალ ლამარა თოდუას „მადლიერების წიგნი“ ათასი მორჩენილი პაციენტის სამადლობელ წერილს ინახავს.

თოდუების საგვარეულო მეთოდით დამზადებული წამლები საუკუნეს ითვლის. როგორც ლამარა თოდუა ამბობს, ნებისმიერი დაავადების განკურნებისთვის საჭიროა ორგანიზმის გაწმენდა. ორკვირიანი პროცედურით გაგეწმინდებათ ორგანიზმი. ყველა ნაყენი მხოლოდ ეკოლოგიურად სუფთა, საგულდაგულოდ შეგროვილი მცენარეებით მზადდება.

ქალბატონი ლამარას მიერ მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიკურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს, სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევისა და ლაქების გარეშე.

თოდუების ცნობილი წამლები უამრავ დაავადებას კურნავს.

ᲨᲔᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝᲑ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას; 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებსა და დახეთქილ ქუსლებს; 20. ბუასილს.

ᲜᲐᲜᲐ ᲜᲐᲓᲐᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘ: მაწუხებდა დისბაქტერიოზი, პარალელურად დამეწყო თმის ცვენა, მივმართე ქალბატონ ლამარას, ჩავიტარე მკურნალობა მისი მითითებით. ორ კვირაში მქონდა იდეალური შედეგი.

ᲮᲕᲘᲩᲐ ᲒᲝᲒᲘᲐ: კანზე მქონდა გამონაყარი, ქალბატონი ლამარას დამზადებული სითხეებით ორგანიზმი გავიწმინდე, ვიყენებდი მისივე დამზადებულ მალამოებს, შედეგი მაქვს. დიდი მადლობა ქალბატონ ლამარას.

ᲛᲖᲘᲐ ᲓᲣᲜᲓᲣᲐ: მქონდა ქალური პრობლემები, მივაკითხე ქალბატონ ლამარას და ვარ უკვე გამოჯანმრთელებული. დღესაც ვაგრძელებ მკურნალობას მისი მითითებით.

ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ: ᲡᲐᲑᲣᲠᲗᲐᲚᲝ, ᲝᲗᲐᲠ ᲭᲘᲚᲐᲫᲘᲡ 166. ᲛᲔ-10 ᲙᲝᲠᲞᲣᲡᲘ. ᲢᲔᲚ.: 599-16-10-82, 593-99-62-52

ჯოსვოხდი ბ



შვეულად: 1. კვერცხისგულიანი წებოთი და ზეთით შეზავებული სახატავი საღებავი; 2. მომწამლავი ნივთიერება; 3. ლუდის მწარმოებელი ქართული ფირმა; 4. ბრიტანული ხილის ნამცხვარი; 5. ჟესტებითა და მიმიკით გადმოცემული უსიტყვო თეატრალური წარმოდგენა; 9. უბანი თბილისში; 12. ისტორიული მოედანი პარიზში; 14. პატარა სასაუზმე გერმანიაში; 15. ფულის ერთეული ჩრდილოეთ კორეაში; 17. ბაღ-ბოსტნის ძველი ქართული სახელწოდება; 18. კაკბის, ხოხბის, გნოლის ბარტყი.

თარაზულად: 6. დიდი ებრაული რელიგიური დღესასწაული; 7. ავადმყოფის გასინჯვა სხეულზე თითების კაკუნით; 8. ძლიერმოქმედი ნარკოტიკი; 10. ყველაზე მაღალი მწვერვალი პირინეის ნახევარკუნძულზე; 11. ძველებური წიგნი, რომელიც შეიცავდა ავადმყოფობათა აღწერილობას, ცნობებს მათი მკურნალობისა და სამკურნალო საშუალებათა შესახებ; 13. ჩეჩნებისა დ ინგუშების სახელწოდება ძველად საქართველოში; 16. პოლიტიკური პარტია ისრაელში; 19. ღვინის სპირტი; 20. სასტამბო ასოთამწყობი მანქანა.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. ქულბაქი; 2. ბაიადერა; 3. ლიძავა; 4. ხიხვი; 5. ბირთვისი; 8. მასანდრა; 12. კობი; 13. საგურამო; 14. ანდაზა; 16. სახიობა; 18. ჯეზვე; 20. რაგუ.

თარაზულად: 6. ფუკუსიმა; 7. გრინფისი; 8. მერანი; 9. სარმა; 10. ცერცვაძე; 11. დისკანტი; 15. მასტროიანი; 17. დიბალა; 19. ზვარტნოცი; 21. დარბაზი; 22. კონსტებლი; 23. ლუტეცია.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. აირზენა; 2. ბუერი; 3. კანცლერი; 4. ყარაყუმი; 5. სინტოიზმი; 9. სონატა; 12. პულკოვო; 14. პანამა; 15. ელბა; 17. საარი; 18. აკრი.

თარაზულად: 6. სინხუა; 7. ვარიანტი; 8. მზიური; 10. დუომო; 11. კარაბინიერი; 13. ოპონენტი; 16. ნუნისი; 19. კორონერი; 20. სავოიარი.

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

30 სექტემბერი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 3.1228

ევრო — 3.6409

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 4.2198

100 რუსული რუბლი — 4.2924

ამინდის პროგნოზი 30 სექტემბრისათვის

გრანიტ ჯაკა 3 თვეს იუქმებს

არსენალის ერთ-ერთმა ლიდერმა გრანიტ ჯაკამ ტოტენჰემთან შეხვედრაში ტრავმა მიიღო და დიდი ალბათობით მას საკმაოდ ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე მოუწევს უქმობა. პირველადი ინფორმაციით, ჯაკა 3 თვეს გამოტოვებს და არსენალისთვის ეს დიდი დანაკლისი იქნება, განსაკუთრებით თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ სეზონი ლონდონელებმა არცთუ კარგად დაიწყეს.

კუმანი შესაძლოა სეზონის ბოლომდე ბარსელონაში დარჩეს

ბარსელონა არცთუ სახარბიელო ფინანსური მდგომარეობის გამო დიდი ალბათობით რონალდ კუმანის დათხოვნას ვერ მოახერხებს და ის სეზონის ბოლომდე გუნდში დარჩება. კუმანს კონტრაქტი 2022 წლის ზაფხულში უმთავრდება.

მისი მუშაობით ბარსელონას ხელმძღვანელობა უკმაყოფილოა და მის შემცვლელს აქტიურად ეძებს.

ტიბო კურტუა: „შერიფთან ბევრი შეცდომა დავუშვით“

მადრიდის რეალის მეკარემ ტიბო კურტუამ შერიფთან მარცხზე ისაუბრა და თქვა, რომ რეალმა ბევრი შეცდომა დაუშვა, მაგრამ წაგებას ისინი მაინც არ იმსახურებდნენ. კურტუას აზრით, შერიფმა თითქმის ყველა თავისი მომენტი გამოიყენა:

– მეტოქემ სწორი ტაქტიკა შეარჩია და ჩვენი შეცდომები ბოლომდე გამოიყენა და ამის შანსი მას მივეცით. შეცდომები უნდა გავაანალიზოთ და მომავალში მსგავსი რამ არ უნდა განმეორდეს.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

ბეჰემოთების ჯოგმა ანტილოპა გნუ ორი ნიანგისგან დაიცვა

სამხრეთ აფრიკის კრიუგერის ეროვნულ პარკში ბეჰემოთებმა ტურისტების თვალწინ ანტილოპა გნუ ნიანგების თავდასხმისგან გადაარჩინეს. ამის ამსახველი თვითმხილველის მიერ გადაღებული ვიდეო ფეისბუქში პარკის გვერდზე გამოქვეყნდა.

ორი ნიანგი თავს დაესხა ანტილოპა გნუს, რომელიც წყლის დასალევად იყო მისული. მათ მსხვერპლის წყალში შეთრევა მოახერხეს, თუმცა ანტილოპა დანებებას არ აპირებდა. ამ დაპირისპირებამ თანდათან მდინარის სიღრმეში გადაინაცვლა, სადაც ბეჰემოთების ჯოგი იმყოფებოდა.

ბეჰემოთები უკმაყოფილონი დარჩნენ მათ ტერიტორიაზე შეჭრის და მათთვის სიმშვიდის დარღვევის გამო. მათ ნიანგებს შეუტიეს, ამით კი ანტილოპამ ისარგებლა და გაქცევა მოახერხა. მან მდინარე გადაცურა, ნაპირზე ავიდა და შესამჩნევი კოჭლობით გაეცალა იქაურობას.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ასტროპროგნოზი

30 სექტემბრისათვის

ვერძი – დაისვენეთ, ენერგია მოიკრიბეთ. განტვირთვა გჭირდებათ. მოულოდნელი ინფორმაცია სერიოზულ პრობლემებს შეგიქმნით. **კურო** – სხვისი გავლენის ქვეშ ნუ მოექცევით. იყავით დამოუკიდებელი და პრინციპული. **ტყუპები** – ნებისმიერი აქტივობა გარშემომყოფებთან კონფრონტაციამდე მიგიყვანთ. ერიდეთ ხალხმრავლობას. **კირჩხიბი** – წინა პლანზე ოჯახური პრობლემები წამოიწევს. უმჯობესია, თუ ოჯახის წევრებთან ერთად დაისვენებთ. **ლომი** – მატერიალური პრობლემების მოსაგვარებლად საკმაო ძალისხმევა დაგჭირდებათ. ცრუ დაპირებებს არ ენდოთ. **ქალწული** – ჯანმრთელობას გაუფრთხილდით. განსაკუთრებით დიდია ტრავმების მიღების ალბათობა. **სასწორი** – ჩანაფიქრის განხორციელებაში ხელი გეშლებათ. ფინანსური მდგომარეობა არასახარბიელოა. **ღრიანკალი** – ფულს იოლად ნუ გაფლანგავთ. ერიდეთ რომანტიკულ თავგადასავლებს. ყველგან და ყველაფერში სიფრთხილე გმართებთ. **მშვილდოსანი** – ნუ იაქტიურებთ. შედეგით უკმაყოფილო დარჩებით. საქმიანი კონტაქტები მინიმუმამდე დაიყვანეთ. **თხის რქა** – ახალი გატაცებისთვის მზად იყავით. პლანეტა ვენერა სასიყვარულო ურთიერთობებში გეხმარებათ. **მერწყული** – ბევრი საქმე გაქვთ, თუმცა თქვენი შრომისმოყვარეობა სასურველ ნაყოფს გამოიღებს. წარმატებული დღეა. **თევზები** – საკუთარი ძალების ირწმუნეთ. ნუ მოეშვებით. საქმე კეთილსინდისიერად აკეთეთ.

გისუფევთ ბედნიერ დღეს!

იუმორი

●●●

ზედამხედველი პატიმარს ეუბნება:

– თქვენი ცოლი მოვიდა თქვენთან პაემანზე.

– ვაპროტესტებ, განაჩენში ასეთი პუნქტი ჩაწერილი არ ყოფილა!

●●●

კაცი წყლის კომპანიაში რეკავს და ოპერატორს ეუბნება:

– დაიკო, წუხელ ცუდი სიზმარი ვნახე და წყალს გამოუშვებ თუ შენ მოგიყვე?

●●●

ცოლი მთვრალ ქმარს აძინებს. ქმარი ეკითხება:

– ქალო, ის რაია, ჩვენ თავს ზევით რომ დაფრინავს?

– ბუზია, დაიძინე!

– მერე, თეთრი რატოა?

– ღამის პერანგი აცვია... დაიძინეეე!!!

●●●

ორი ნაცნობი საუბრობს. ერთი მეორეს ეუბნება:

– სიგარეტს აწერია: „მოწევა კლავს“. ასეა?

– კი, მასეა.

– ალკოჰოლს აწერია: „ჯანმრთელობას ვნებს“. ასეა?

– მასეა.

– მა გოგოებს რატომ არ აწერიათ: „დედას უტირებს ნერვულ სისტემას“?

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ლევან სონღულაშვილის მულტიმედიური გამოფენა თბილისში გაიმართება

მსოფლიოში ცნობილი ქართველი მხატვრის ლევან სონღულაშვილის სოლო გამოფენა თბილისში გაიმართება.

ხელოვანის მასშტაბური მულტიმედიური ექსპოზიციით ნაციონალური გალერეის საგამოფენო სეზონი 8 ოქტომბერს გაიხსნება.

ლევან სონღულაშვილი გამოფენაზე მისულ დამთვალიერებელს მრავალფეროვანი ნამუშევრითა და უამრავი სიახლით დახვდება.

ოპერისა და ბალეტის თეატრი 170-ე სეზონს იწყებს

ზაქარია ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრი საიუბილეო – 170-ე თეატრალურ სეზონს ხსნის.

პირველ ოქტომბერს თეატრში მისული საზოგადოება ზაქარია ფალიაშვილის უკვდავ ოპერას „აბესალომ და ეთერს“ მოისმენს.

სპექტაკლში ოპერის წამყვანი მომღერლები მიიღებენ მონაწილეობას.

მარანში უნიკალური კულტურის სახლი აღდგება



კულტურის სამინისტროს გადაწყვეტილებით, სოფელ მარანში უნიკალურ კულტურის სახლს რეაბილიტაცია ჩაუტარდება.

მინისტრის თეა წულუკიანის გადაწყვეტილებით, მარნის კულტურის სახლი სრული რეაბილიტაციის შემდეგ თანამედროვე სტანდარტის მულტიკულტურულ ცენტრად იქცევა და რეგიონის მასშტაბით არაერთ მნიშვნელოვან და საინტერესო კულტურულ პროექტს უმასპინძლებს.

საპროექტო სამუშაოები 10 დეკემბერს დასრულდება, რეკონსტრუქცია-რეაბილიტაციის პროცესი კი 2022 წლის თებერვალში დაიწყება და შემოდგომაზე დასრულდება, რის შემდეგაც ამ უნიკალურ შენობას პირვანდელი სახე დაუბრუნდება.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ქალმა წინასწარმეტყველურ ორცხობილას დაუჯერა და გამდიდრდა

ტიკტოკის მომხმარებელმა, სახელად ამანდამ განაცხადა, რომ ორცხობილამ მასში ჩადებული წინასწარმეტყველებით მისი ცხოვრება შეცვალა. მან გამოაქვეყნა ვიდეო, რომელშიც ისაუბრა იმაზე, თუ როგორ გაითვალისწინა ორცხობილაში ამოსული რეკომენდაციები და წარმატებას მიაღწია.

35 წლის ქალის თქმით, ხუთი წლის წინ მან სამსახური დაკარგა და იძულებული გახდა, თავი გაკოტრებულად ეღიარებინა. ქმარმა გადაწყვიტა, ის როგორმე გაემხნევებინა და ჩინური რესტორნიდან კერძები მოუტანა. შეკვეთას საჩუქრად წინასწარმეტყველებიანი ორცხობილა მოაყოლეს. მასში ამოსულ ბარათში ეწერა: „თქვენ წარმატებული იქნებით ბიზნესში“.

ბარათი მართლაც წინასწარმეტყველური გამოდგა. ამანდამ რჩევას ყური უგდო და ოთხ თვეში გამდიდრდა. მან ინტერნეტში გახსნა დღესასწაულებისთვის განკუთვნილი ხელნაკეთი ნივთების მაღაზია. დროთა განმავლობაში ქალის ქმარმაც მიატოვა სამსახური, რათა მეუღლეს მიხმარებოდა მისი ბიზნესის განვითარებაში. ამ დროისთვის ამანდას ბიზნესი 12 მილიონ დოლარადაა შეფასებული.

გამოქვეყნდა ვიდეო, რომელზეც ჩანს, როგორ გამოათრია მამაკაცი კარვიდან ნიანგმა

ერთ-ერთმა ბრიტანულმა გამოცემამ პირველად გამოაქვეყნა 2004 წელს გადაღებული სამოყვარულეო ვიდეო, რომელიც ნიანგის ადამიანზე თავდასხმის ადგილზეა გადაღებული. რეპტილიამ კარვიდან გამოათრია მამაკაცი, რომელიც ოჯახთან ერთად ოკეანის სანაპიროზე ისვენებდა.

თავდასხმის შედეგები გადაიღო სპორტსმენმა ბენ ჯონსმა, რომელიც მოგვიანებით ეროვნულ რაგბის ლიგაში თამაშობდა. 2004 წლის ოქტომბერში ის ავსტრალიის კვინსლენდის შტატში ისვენებდა და ერთ დილით მან ფანრით უბედურების მაუწყებელი სიგნალი შენიშნა. ის დასახმარებლად გაემართა და გადააწყდა ტურისტებს, რომლებმაც ნიანგის თავდასხმა გადაიტანეს.

ოთხ მეტრზე მეტი სიგრძის ნიანგი დაახლოებით დილის ოთხ საათზე მათ ბანაკს თავს დაესხა. ხმაურმა 34 წლის ენდრიუ კერის მეუღლის დის ყურადღება მიიპყრო.

– დის გარედან შრიალის ხმა შემოესმა და იფიქრა, რომ ღორი, ველური ძაღლი დინგო ან კამეჩი იყო, – იხსენებს ჯონსი. გარეთ გამოხედვის შემდეგ მან ნიანგის სილუეტს მოჰკრა თვალი და მეუღლის გაღვიძება დაიწყო.

წამის შემდეგ რეპტილიამ ახალგაღვიძებულ ენდრიუს პირი ბარძაყში სტაცა და მისი ნაპირისკენ წათრევას შეუდგა. მამაკაცმა მხოლოდ ის მოასწრო, რომ მეუღლეს დაუძახა მათი ოთხი თვის ბავშვისთვის მიეხედა. ხმაურზე თავისი კარვიდან 61 წლის ალისია სოროჰანი გამოვარდა და ნიანგს თავზე დაახტა. მტაცებელმა ენდრიუს პირი უშვა, მკვეთრად შეტრიალდა და ქალს ხელში სტაცა პირი. ამ დროს ქალის შვილმა მოირბინა და მტაცებელს თავში ოთხი ტყვია დაახალა.

დაშავებული ენდრიუ სასწრაფო დახმარების შვეულმფრენმა საავადმყოფოში გადაიყვანა. კარავთან კი მიწაზე ეგდო მოკლული ნიანგი.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ჯოსვოხდი ↄ



შვეულად: 1. მეთორმეტე საუკუნის ქართველი ხატმწერი ოქრომჭედელი; 2. მაღალი კლასის დახურული ტიპის მსუბუქი ავტომობილი; 3. პოლიტიკური პარტია ისრაელში; 4. ქართული ზღაპრების პერსონაჟი, ბოროტი, ავი არსება; 5. წითელი ფერის იტალიური სადესერტო ღვინო; 8. ქართული ორცხობილა; 12. სუსტი არაყი; 13. ევერესტის დამლაშქრავი ქართველი ალპინისტი; 14. მთიანეთი ევროპაში; 16. პიროტექნიკური ტკაცუნა; 18. ვირტუოზი ქართველი ფეხბურთელი; 20. გერმანელი მოდელიერი მამაკაცი.

თარაზულად: 6. პირი, რომელიც არც ერთი ქვეყნის მოქალაქედ არ ითვლება; 7. ძვირფას ქვაზე მხატვრულად კვეთის ხელოვნება; 8. აჭარული ცეკვა; 9. ერისთავის პიესა; 10. იაპონური სამრეწველო-ფინანსური კონცერნი; 11. მცირე ამპლიტუდის რხევები; 15. რაჭაში გავრცელებული შავყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში; 17. ქართველი მწერალი, რომან „რკინის თეატრის“ ავტორი; 19. ფეხბურთის სტადიონი ბუენოს-აირესში; 21. ოჩამჩირეს ძველი ბერძნული სახელწოდება; 22. ქვეწარმავლების სადგომო ზოოპარკში; 23. ქერის პური.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა